

K 172 094  
3

უნივერსალური ბიბლიოთეკა



საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**ბიბლიოთეკა**

დურმიზნან მისნი

ა ვ ლ ა ბ რ ი ს  
არაღებალური სტამბა-მუზეუმი

მოკლე მიმოხილვა


(მეორე შევსება და შესწორებული გამოცემა)

K 172 094  
3

სკმგ-2000  
შემოქმედებულია



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი — 1977





3 КП 1 (С 41)+6 П 9.5 (С 41)(09)

3 კპ 1 (47.922)+655 (47.922)(09)

8 587

ბროშურა ეძღვნება მუზეუმის — „რსდმ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავღანის არალეგალური სტამბა“ — გახსნის 40 წლის-თავს. მასში გაშუქებულია ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ამ მძლავრი კერის უდიდესი როლი ვ. ი. ლენინის იდეებისა და რევოლუციური მოძღვრების გავრცელების, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ამიერკავკასიის მშრომელების დარაზმვის საქმეში; ნაჩვენებია საბჭოთა ხალხის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე, რევოლუციონერ-ლენინელთა მაგალითზე ახალგაზრდობის აღზრდისათვის მუზეუმის მიერ გაწეული მუშაობა.

**Дурмишхан Николаевич Месхи**

**Авღანарская нелегальная типография-музей**

(Краткий обзор)

(На грузинском языке)

Издательство «Сაბჭოთა საქართველო»

Тбилиси, Марджანიшвили, 5.

1977

10203—249

М

77

М601(08)—77

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.

1975 წლის 2 თებერვალი იდგა. ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმის ეზოში დიდი ზეიმი გაემართათ შრომის წითელი დროშის ორდენოსან ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩ მემატინეებს, ისინი მოსულიყვნენ მამა-პაპათა გმირულ ნაკვალევზე. ტარდებოდა თაობათა შეხვედრის დღესასწაული. საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა ბედნიერი ბავშვები — ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, ოსები, ებრაელები და სხვები უმღერდნენ დიად კომუნისტურ პარტიასა და მის დამაარსებელს — გენიალურ ბელადს ვ. ი. ლენინს იმ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის, რომელზედაც ათასი წლების მანძილზე ოცნებობდა პროგრესული კაცობრიობა, რომლისთვისაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის საუკეთესო შვილების ათეული თაობები იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი რევოლუციის — 1905—1907 წლების რევოლუციის — 70 წლისთავს ეძღვნებოდა ეს საზეიმო შეკრება-მიტინგი თემაზე „სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე ვიზრდებით“.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ნორჩი ისტორიკოსები, რომლებმაც ილაპარაკეს, თუ როგორ შეისწავლეს თავიანთი რაიონების რევოლუციური წარსული, ისტორიულ-რევოლუციური ადგილები, მათ რაიონში მცხოვრები ვეტერანი რევოლუციონერების ცხოვრება-მოღვაწეობა, ილაპარაკეს, თუ როგორ აქტიურად მონაწილეობდნენ ლენინურ ჩათვლებში, მოსწავლეთა შრომით მეოთხედებში.

შემდეგ მოგონებებით გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკები, რევოლუციის აქტიური მონაწილენი, სკკპ წევრი 1905 წლიდან აპ. ჯაფარიძე და სკკპ წევრი 1917 წლიდან ესტატე მგელაძე — ისინი, ვინც ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილ ლიტერატურას უკითხავდნენ საქართველოს მშრომე-



ლებს, მოუწოდებდნენ და ადვილად მოხერხდნენ მათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

დასასრულს საზეიმო მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობისადმი, „...ძვირფასო მეგობრებო! სათუთად მოეპყარით ყოველივე წმინდას, რაც დაკავშირებულია ჩვენი ხალხის, გვირი ხალხის ისტორიასთან. ისწავლეთ ისე, როგორც გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, იზრამეთ ისე, როგორც გვასწავლის ჩვენზე მარად მზრუნველი კომუნისტური პარტია.

იზარდეთ სამშობლოს ერთგულ შვილებად, მარად გახსოვდეთ, რომ თქვენს ხელშია ჩვენი ქვეყნის ბედი და მომავალი. მამ ვიყოთ ღირსნი, რათა განვაგრძოთ ჩვენი წინაპრების სასახელო ტრადიციები, ვისწავლოთ, ვიზრო მოთ, ლენინურად!“

\* \* \*

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების წარმატებით შესრულებისათვის, მათე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესასრულებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში, სადაც საუბარია საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების როლზე, აღნიშნულია, რომ უნდა „გავაუმჯობესოთ მუზეუმების მუშაობა, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა და პროპაგანდა“. ასეთია სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანა და ეს კარგად აქვს შეგნებული ჩვენი მუზეუმის კოლექტივს.

აღსანიშნავია, რომ ის დიდი გარდაქმნები, რაც უკანასკნელ წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად მოხდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში, — რასაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა 1976 წლის ივნისის დადგენილებაში — საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, — მუზეუმებსაც დაეყოს. დამთავლიერებელთა რაოდენობამ მუზეუმებში დიდად იმატა, ამის ნათელსაყოფად საკმარისია ჩვენი მუზეუმის მაგალითიც. უკანასკნელ წლებში ავლაბრის არალეგალურ სტამბა-მუზეუმს წელიწადში საშუალოდ



170 ათასამდე კაცი ნახულობდა, 1975 წელს 192 ათასზე მეტი გვესტუმრა. წელს კი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის წელს — განსაკუთრებული ხალხმრავლობაა — მარტო 8 თვის მანძილზე 155 000-ზე მეტმა დაათვალიერა სტამბა, რომელმაც, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1905 წლის რევოლუციაში, ანუ დიდი ბელადის, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, 1917 წლის სოციალისტური რევოლუციის გენერალურ რეპეტიციაში.

დიდი დამსახურება მიუძღვის ამ საქმეში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავღაბრის არალეგალურ სტამბას, იგი წარმოადგენდა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ფაბრიკას და იყო დიდი ლენინის იდეებისა და რევოლუციური მოძღვრების გავრცელების მძლავრი კერა, რომელიც რაზმავდა ამიერკავკასიის მშრომელებს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. „ასეთი ინიციატივის წყალობით — წერდა სტამბა-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში, საფრანგეთის კომპარტიის პოლიტიბუროს წევრი ფრანსუა ბიიუ — მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას დაეუფლნენ მასები და ამრიგად ლენინის ხელმძღვანელობით მოიზადდა სოციალისტური რევოლუცია“. ნიდერლანდების ქვეყნიდან ჩამოსულები კი აღნიშნავენ: „ჰოლანდიის მუშათა დელეგაცია გაეცნო რა იატაკქვეშა სტამბას, ... რომელმაც მოამზადა პირობები 1917 წლის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, სურს გამოთქვას თავისი ალტაცება...“.

საქართველოს სსრ ისტორიულ-რევოლუციურ ძეგლებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ავღაბრის არალეგალურ სტამბა-მუზეუმს, რომელიც ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის განყოფილებას წარმოადგენს.

მუზეუმი მდებარეობს თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის კასპის ქუჩა № 7 სახლში. ეს სახლი გარეგნულად არაფრით განსხვავდება მეზობლად მდებარე სხვა ძველი სახლებისაგან, მაგრამ მის შესახებ იციან შორეულ ავსტრალიასა და კუბაში, ინდოეთსა და კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, საფრანგეთსა და ახალ ზელანდიაში, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

ავღაბრის არალეგალური სტამბა რევოლუციის აღმავლობის პირმოა. იგი ამოქმედდა იმ წელს, როდესაც დიდმა ლენინმა შექმნა პარტია, როდესაც გაიზარდა მოთხოვნილება რევოლუციურ ლიტერატურაზე, მუშათა მოძრაობის აღმავლობამ მოითხოვა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება და ასეც მოხდა 1903 წლის მარტში კავკასიის სო-



ციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველ ყრილობაზე, სადაც შეიქმნა რსდმპ კავკასიის კავშირი. ამავე ყრილობაზე აირჩიეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც 1903—1906 წწ. სხვადასხვა დროს შედიოდნენ: ი. ბ. სტალინი, მ. გ. ცხაკაია, ა. გ. წულუკიძე, ფ. ე. მახარაძე, ს. გ. წაუმიანი, ბ. მ. კუნინი, პ. ა. ჯაფარიძე, მ. ნ. დავითაშვილი, მ. ზ. ბოჭორიძე, ვ. ს. ბობროვსკი, დ. ს. პოსტოლოვსკი, ნ. ნ. ალაჯალოვა.

„არალეგალური ბეჭდვითი სიტყვის მატერიალურ ბაზას არალეგალური ბეჭდვითი ტექნიკა წარმოადგენდა, ამიტომ პარტია იმთავითვე ყურადღების ცენტრში აყენებდა საიდუმლო სტამბის მოწყობის საკითხს. ამ დარგში ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მდიდარი ტრადიცია აქვთ. ჯერ კიდევ 1900 წლიდან ამიერკავკასიაში ეწყობა არალეგალური სტამბები. 1902—1903 წლებში რევოლუციური მოძრაობის ზრდის გამო კიდევ უფრო გაიზარდა მოახოვნობა რევოლუციურ ლიტერატურაზე, ამასთან დაკავშირებით გაიზარდა საიდუმლო სტამბების რიცხვი“<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინი დიდ მზრუნველობას იჩენდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი. განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა მასთან. სწორედ ბელადის მითითებების თანახმად კავკასიის კავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა კიდევ უფრო მეტად გაეზარდა ლიტერატურის გამოცემა. ამან კი მოითხოვა არალეგალური სტამბის შექმნა.

სტამბის მშენებლობის ორგანიზაცია დაევალა კომიტეტის წევრს მიხრა ბოჭორიძეს. მან სტამბის შენობისათვის ავლაბარში შეარჩია მიწის ნაკვეთი, რომელიც მის მეგობარს დავით როსტომაშვილს იჯარით ჰქონდა აღებული.

აი, რას იგონებს როსტომაშვილი „...მოვიდა ჩემთან მიხრა ბოჭორიძე და მითხრა: „კავკასიის კავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა შექმნას არალეგალური სტამბა მთელი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ლიტერატურით მოსამარაგებლად და თქვენ ამ საქმეში უნდა დაგეხმაროთ. საჭიროა იყო ამისათვის საგანგებო შენობის აგება.

იმავე საღამოს... სახლის აგებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად, ჩემი ძმის კონსტანტინეს ხილულის დუქნის სარდაფში, ყოფილ

---

<sup>1</sup> ზ. გეგეშიძე, თ. ცხვედიანი. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა 1903—1906, მეგზური, თბილისი, 1964, გვ. 2.

საღდათის ბაზარზე<sup>1</sup> მოწვეულ იქნა თათბირი. ამ თათბირს ვესწრებოდიტ მხო ბოჭორიძე, სანდრო და ვანო ჩოდრიშვილები, მირიმან და თედო მალრაძეები, ჩემი ძმა კონსტანტინე და მე. კრება ლხინის სახით მიმდინარეობდა; სუფრაზე გვეწყო ღვინოები და სხვადასხვა საუზმე. ამ თათბირზე საბოლოოდ შემუშავდა შენობის ტიპი, რომელიც საკვებით შეეფერებოდა სასტიკი კონსპირაციის მოთხოვნებს<sup>2</sup>. როსტომაშვილმა ნაკვეთი კომიტეტს დაუთმო და აიღო ვალდებულება მიეღო მშენებლობის ოფიციალური ნებართვა ქალაქის გამგეობისიგან.

1903 წლის 22 სექტემბერს მან შეიტანა თხოვნა თბილისის გამგეობაში სახლის აშენების ნებართვის შესახებ. თხოვნას დართული ჰქონდა სახლის პროექტი.

აი, რას ვკითხულობთ თბილისის გამგეობის 1903 წლის 7 ოქტომბრის დადგენილებაში დ. როსტომაშვილის პროექტის შესახებ: „მოისმინა რა დასკვნა წარმოდგენილ პროექტზე სახაზინო მიწის მე-7 უბანში (ყოფილი ვორონცოვის ფერმა) ერთსართულიანი, სარდაფიანი ქვის სახლის მშენებლობის შესახებ, ქალაქის გამგეობა ადგენს: დამტკიცდეს ეს პროექტი“<sup>3</sup>.

სინამდვილეში სახლის მშენებლობა დაიწყო მხო ბოჭორიძისა და მუშარეველუციონერების მიერ შედგენილი პროექტით.

მშენებლობისათვის დაიჭირავეს გარეშე მუშები, ხოლო კონსპირაციული სამუშაოებისათვის მოიწვიეს მუშარეველუციონერები, ღურგლები; ძმები: სანდრო, ვანო და ნიკო ჩოდრიშვილები, კალატოზები, ძმები: მირიმან და თედო მალრაძეები.

სტამბის მშენებლობა დაიწყო მიწის სამუშაოებით, დაჭირავებულმა მიწის მთხრელებმა გაჭრეს სარდაფი სიღრმით — 10, სიგრძით — 12,5 და სიგანით — 6,5 არშინი (არშინი 71,12 სმ-ია). მიწისმთხრელი მუშები დაითხოვეს, შემდეგ, როდესაც მოწვეულმა კალატოზებმა ამოიყვანეს კედლები და დააგეს სარდაფის იატაკი, ისინიც დაითხოვეს. რეველუციონერმა მუშებმა ეი გააკეთეს სარ-

<sup>1</sup> ამჟამად კოლმეურნეობის მოედანი.

<sup>2</sup> დ. როსტომაშვილი. ავლაბრის არალეგალური სტამბა. მასალებისა და დოკუმენტების კრებული — „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.)“, თბილისი, 1954, გვ. 36.

<sup>3</sup> მასალებისა და დოკუმენტების კრებული — „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.)“, გვ. 63.



დაფის თალი და შუა ადგილზე დაუტოვეს საიდუმლო ხერელი, რომელსაც ზემოდან ფიცრები დააფარეს. „...შემდეგ დავიჭირავეთ სხვა მუშები, რომლებიც ნახევარსარდაფის მშენებლობაზე დავაყენეთ. მათ ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ ამ ნახევარსარდაფის ქვეშ კიდევ არის სარდაფი, რადგან, როგორც კი მოვათავყეთ... თაღების ამოყვანა, იგი მაშინვე დავფარეთ ზემოდან 2 არშინამდე მიწის ფენით. ნახევარსარდაფიანი და ოროთახიანი სახლი ჩვენ სწრაფად დაკამთავრეთ“<sup>1</sup>. იხსენებს მ. მალრაძე.

ზემოთ მოეწყო საცხოვრებელი ოთახები, ნახევარსარდაფში კი სამზარეულო, გადაწყვიტეს სარდაფში (სტამბაში) საიდუმლო შესასვლელი გაეკეთებინათ: ჭებიდან. დაჭირავებულ ჭისმთხრელს 13 არშინის (13 მეტრამდე) სიღრმის ჭა ამოათხრევენეს, რომელშიც წყალი არ ამოვიდა, იგი შშრალი ჭა იყო. მასში კიბე ჩაუშვეს, რამდენიმე არშინის სიმაღლეზე ბოძები დაალაგეს და მიწით დაფარეს. შემდეგ სხვა ჭისმთხრელს ამოათხრევენეს მეორე ჭა 21 არშინის (15 მეტრამდე) სიღრმის, ეს იყო ნამდვილი ჭა, რომელშიც წყალი ამოდიოდა, ამის შემდეგ მუშა-რეკოლუციონერებმა, ძმებმა მალრაძეებმა და ჩოდრიშვილებმა გაიყვანეს ფარული გვირაბები. ერთმა გვირაბმა შეაერთა ორი ჭა, სოლო მეორემ — შშრალი ჭა სარდაფთან. წყლიანი „ჭის თავზე აღმართეს ფარდულის კედლებზე მიჭედილი ფიცრებისაგან შეკრული კადონი. ამ კადონზე, რომელიც ჭის ზედაპირიდან დაშორებული იყო დაახლოებით ორი არშინით, შოათავსეს რვა გოჯი დიამეტრის მქონე ხის ჭოჭონაქი, ჭას თავზე დაახურეს ხის კვადრატული ჩარჩო, რომელზედაც დამაგრებული იყო წვრილი, ფოლადის ტროსი. ჭაში მსხვილი თოკით ჩაუშვეს ვედრო. კონსპირაციის მიზნით ჭის ზემოდან ფარდული გამართეს, ვითომდა წყლის სისუფთავისათვის და სიგრილის დასაცავად“<sup>2</sup>. ამრიგად, საიდუმლო შესასვლელი მზად იყო. მუშები თოკის დახმარებით ჩადიოდნენ წყლიან ჭაში, წყლის ზედაპირიდან მეტრო-ნახევრის ზემოთ გაყვანილი გვირაბით გადიოდნენ დახურულ შშრალ ჭაში, რომელშიც ჩადგმული იყო კიბე, ამ კიბეზე აღიოდნენ და პატარა გვირაბით შედიოდნენ სარდაფში.

„უკვლა სამუშაო, რომ დავამთავრეთ -- წერდა თავის მოგონებაში ალექ-

<sup>1</sup> მ. მალრაძე. როგორ ვაშენებდით ავლაბრის არალეგალურ სტამბას. მასალებისა და დოკუმენტების კრებული — „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.)“, გვ. 44—45.

<sup>2</sup> ზ. გეგეშვიძე. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბები 1909—1920, თბილისი, 1965, გვ. 80—81.



სანდრე ჩოდრიშვილი — ჩვენ წავედით, და მას შემდეგ შემთხვევა არ მქონია ერთხელ კიდევ ვყოფილიყავი ჩვენ მიერ აგებულ ავლაბრის სტამბაში... დიდად გვიხაროდა, რომ ჩვენი შრომით ერთგვარად დავენმარეთ პარტიას — ჰქონოდა კარგი ჯონსპირაციული სტამბა, სადაც შეიძლებოდა დაბეჭდილიყო ლენინისა და სტალინის სტატიები და ბროშურები, რომლებიც მოუწოდებდნენ პროლეტარიატს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენ ვაშენებდით ავლაბრის არალეგალურ სტამბას და მტკიცედ გვწამდა, რომ შორს არ არის ის დღე, როცა მუშები ხელთ აიღებენ ძალაუფლებას და ყველა მშრომელისათვის შექმნიან ბედნიერ ცხოვრებას<sup>1</sup>.

მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოიტანეს საბეჭდი მანქანა, შრიფტი, ქაღალდი, სტამბის სხვა მოწყობილობა და ნახევარსარდაფში არსებული ხერე-ლიდან ჩაუშვეს სარდაფში. როდესაც ყველაფერი დამთავრდა, ხერხაშვილების გვართ ახალ სახლში დასახლდნენ სტამბის მუშები. „დასახლისი“ იყო არალეგალურ სტამბაში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე ბაბე ლაშაძე-ბოჭორიძე, რომელიც პირველ ოთახში ცხოვრობდა. მისი ოთახიდან სტამბაში გაყვანილი იყო ელექტროზარი. ზარის ღილაკი დამალული იყო შპალერის ქვეშ. ბაბე ფანჯარასთან ან აივანზე იჯდა და თვალყურს ადევნებდა, რომ ვინმე შეუმჩნეველად არ მოსულიყო შენობასთან, როგორც კი დაინახავდა უცხო პირს, ზარის საშუალებით ამცნობდა მუშებს. ერთი ზარი ნიშნავდა საშიშროებას, მუშები წყვეტდნენ მუშაობას და ელოდნენ ორ ზარს, რათა გაეგრძელებინათ მუშაობა. სამი ზარით მათ ზემოთ იწვევდა „დასახლისი“. აი, როგორ აგვიწერს თავის მოგონებაში ბაბე ავლაბრის სტამბას: „...ეზოს ხის ღობე შემთავლეს ისე, რომ ქუჩიდან კაცი ვერაფერს დაინახავდა...“

სარდაფის თაღში გამოჭრილი იყო საიდუმლო ხერელი, რომლითაც ჩვენ იშვიათად ვსარგებლობდით. მახსოვს ამ ხერელით დასაწყისშივე ჩაუშვით სტამბის მოწყობილობა.

პირველად ავლაბრის სტამბა ჩუღურეთის სტამბიდან გადმოტანილი მოწყობილობით მუშაობდა. მაგრამ მალე ბაქოდან ჩამოვიტანეთ საბეჭდი მანქანა, რომელიც სამიოდე წლის წინ იყიდა ამხანაგმა ლადო კეცხოველმა.

...1904 წლის გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ სოსო ჯულაშვილი ხში-

<sup>1</sup> ა. ჩოდრიშვილი. ჩვენ ვაშენებდით ბედნიერი მომავლის მტკიცე რწმენით. — მასალებისა და დოკუმენტების კრებული — „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.)“, გვ. 43.



რად რჩებოდა მიხოს ბინაზე; ხანდახან იგი მთელი ღამე მუშაობდა — წერდა სტატიებს გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლისათვის“ და აგრეთვე პროკლამაციებს.

...სტამბაში მუშაობდი თითქმის ბოლომდე, სანამ იგი არსებობდა. მე აქ შინაურულად მოვეწყვე: გავიჩინე ქათმები, დავრგე რამდენიმე ხე, ვცდილობდი ჩვენი ყოფა-ცხოვრებისათვის ამ სახლში ჩვეულებრივი ოჯახის იერი მიმეცა, რომ ვინმეს ეჭვი არ აეღო... კონსპირაციის წესების თანახმად სტამბიდან ხშირად გამოსვლა აკრძალული იყო; ამიტომ სტამბის მუშაკები ზემოთ მხოლოდ სადილისა, ვახშმისა ან ძილისათვის ამოდიოდნენ ხოლმე<sup>1</sup>.

სახლის მეორე ოთახში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ: ასოთამწყობები — ერასტი (ჭიჭიკო) კალანდაძე, ტიგრან ვახტანგოვი, მაკარ და მანასე გოგუაძეები, ვიქტორ წულაძე, მბეჭდავი გიგო ლელაშვილი. ყველა ისინი სახლის დავაარში ჩაწერილი იყვნენ სხვა გვარებით და თითქოს მუშაობდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის შთავარ სახელოსნოებში.

საინტერესოდ მოგვითხრობს ტ. ვახტანგოვი სტამბაში მუშაობის პერიოდზე: „1904 წლის დამლევეს კამომ შემომთავაზა მუშაობა დამეწყო ავლაბრის არალეგალურ სტამბაში... მე კარგად ვიცოდი სომხური ენა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იმ ხანებში, იმის გამო, რომ სომხური ენის მცოდნე ასოთამწყობი არ ჰყავდათ, ლიტერატურა სომხურ ენაზე დიდი გაჭირვებით იბეჭდებოდა.

მიხო ბოჭორიძემ წამიყვანა ავლაბრის სტამბაში, სადაც შეგვხვდი ამხანაგებს, რომლებთანაც ერთად უნდა მემუშავა — ჭიჭიკო კალანდაძეს, გიგო ლელაშვილს და სხვ. სტამბაში მონდობილი მქონდა ლიტერატურის აწყობა სომხურ ენაზე. დიდძალი რევოლუციური ლიტერატურიდან, რომელსაც სტამბაში ვბეჭდავდით, კარგად მახსოვს გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“. სომხურად მას ეწოდებოდა: „პროლეტარიატი კრიე“ და გამოდიოდა 2000 ეგზ. რაოდენობით. აქვე ვაწყობდი ამხანაგ სტალინის ბროშურებს. ვაწყობდი აგრეთვე მოწოდებებსა და პროკლამაციებს.

მუშაობა გვიხდებოდა არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც (სტამბა განათებული იყო განხათურით). ჩვენ ყველას მუდმივად გვიხდებოდა ცხოვრება სტამბაში, ე. ი. იმავე სახლის ერთ-ერთ ოთახში. თუ ქალაქში გასვლა მოგ-

<sup>1</sup> ბ ა ბ ე ბოჭორიძე. ჩემი მოგონებები ავლაბრის არალეგალურ სტამბაზე. მასალა-ბნისა და დოკუმენტების კრებული — „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.)“, გვ. 46—47.



ვიხდებოდა, დაბრუნებისას დიდი სიფრთხილე ვკმარებოდა, რათა არავინ აგვ-  
დევენებოდა“<sup>1</sup>.

შესანიშნავი მოგონება აქვს სტამბაზე მაკარ გოგუაძეს: „1905 წლის დე-  
კემბერში მე და ჩემი მეუღლე მარო წაგვიყვანეს ავლაბრის არალეგალურ  
სტამბაში სამუშაოდ, მე როგორც ასოთამწყობი, მარო — როგორც სტამბის  
„დიასახლისი“... ჩვენ იქ დავრჩით სულ 2<sup>1</sup>/<sub>2</sub>—3 თვე.

სტამბა მოთავსებული იყო რკინიგზის ლიანდაგის ახლოს, ერთ მოზრდილ  
ბიწის ნაკვეთზე (1<sup>1</sup>/<sub>2</sub>—1 ჰექტ.) სახლიდან 3—4 მეტრის დაშორებით, სამ-  
ხრეთ-აღმოსავლეთით იყო დახურული ფარდული, რომელშიაც ამოთხრილი  
იყო 15 მეტრი სიღრმის წყლის ჭა. ფარდული წარმოადგენდა ფიცრულ შენობას  
კარებით. ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო მეორე ღია ფარდული. ურიკისა  
და ცხენისათვის. ალაყაფის კარებში გამოჭრილი იყო პატარა კარი, რომელიც  
თავისით იხურებოდა. ასე გამოიყურებოდა გარეგნულად ეს სახლი და ეზო,  
სადაც მოთავსებული იყო სტამბა...

სტამბის ჭერში დატოვებულ ფიცრის კარს ის დანიშნულება ჰქონდა, რომ  
როცა დიდი რაოდენობის მასალა ან მოწყობილობა იყო სტამბაში ჩასაზიდი,  
ამ დროს ამოთხრიდნენ სილას, რომელიც მრყრილი ჰქონდა სამზარეულოს  
იატაკს, ახდიდნენ ფიცრულ კარს და ამგვარად ჩაიტანდნენ სტამბაში საჭირო  
მოწყობალობას და მასალას, რომლის შეტანა ჭის საშუალებით შეუძლებელი  
იყო. სტამბის კედლებში დატოვებული იყო ჰაერის სამოძრაო ხვრელები.

ჩვენ მტკიცედ ვიცავდით არალეგალური მუშაობის წესს. ნუ კითხულობ,  
საიდან ან ვისგან არის ესა თუ ის მასალა ან ცნობა. ნუ კითხულობ შენი ამ-  
ხანაგის გვარს და ვინაობას, იცნობდე მას იმ სახელით და ისე, როგორც ეს თვი-  
თონ გითხრა.

ეჭვით ვიცოდით, რომ ჩვენი დედნების ავტორი უმეტეს შემთხვევაში სო-  
სო (სტალინი) იყო ან მიხა (ცხაკაია), რადგან ამათ, განსაკუთრებით სოსოს,  
ვიცნობდათ ჯერ წრეებში მუშაობის დროს, როგორც მტკიცე ბოლშევიკს.

სტამბაში ჩვენი მუშაობის განმავლობაში სამჯერ იყო საფრთხის ნიშანი  
(ზარი), ორჯერ მოსულა იყო „გოროდოვი“ (პოლიციელი) და დაეთვალიერე-  
ბია ეზო, ფარდული და სხვ. ერთხელ კი „ოკოლოდოჩნი“ (უფროსი პოლიცი-

<sup>1</sup> ტ. ვახტანგოვი. როგორ ვმუშაობდით იატაკქვეშ. მასალებისა და დოკუმენტე-  
ბის კრებული — „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა  
(1903—1906 წწ.)“, გვ. 52—53.



ელი), რომელსაც გამოეკითხა მცხოვრებთა ვინაობა, მათი მუშაობის ადგილი და სხვა. სამჯერვე საქმე მშვიდობიანად გათავდა<sup>1</sup>.

ავლაბრის არალეგალურმა სტამბამ, რომელმაც 1903 წლის დასასრულს უკვე პირველი რევოლუციური ლიტერატურა გამოუშვა, სულ მალე მძლავრ არალეგალურ სტამბად იქცა, სადაც ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე ასე-ულ ათასობით დაბეჭდილი მოწოდებები, პროკლამაციები, ფურცლები, გაზეთები, ბროშურები ფართოდ ვრცელდებოდა როგორც კავკასიის, ისე მის ფარგლებს გარეთ. სტამბა წლების მანძილზე აქტიურად ეწეოდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას და რაზმავდა მშრომელ მასებს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1904 წლის დასაწყისში თბილისში, გადასახლებიდან ბრუნდება ი. სტალინი და მ. ცხაკაიასთან ერთად ხელმძღვანელობს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მუშაობას.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო — გაზეთი — „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი“ ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

„გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ იყო „ბრძოლის“ მიერ დაწყებული სახელოვანი საქმის მემკვიდრე და განმგრძობი. თითქმის ორი წლის განმავლობაში იგი დაუღალავად ეწეოდა ლენინური იდეების პროპაგანდასა და აგიტაციას, იბრძოდა ახალი ტიპის პარტიისათვის“.

კავკასიის კავშირის კომიტეტის თხოვნაზე ეთანამშრომლა გაზეთში, ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა 1904 წლის 20 დეკემბერს უპასუხა: „ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე თქვენი წერილი „პროლეტარიატის ბრძოლის“ შესახებ ვეცდები ვწერო და გადავცემ ამხანაგებსაც რედაქციაში, ამჟამად გაძლიერებით ვმუშაობ ახალი ორგანოსათვის. ამის შესახებ უკვე გამოგიგზავნეთ დაწერილებითი წერილი. საჩქაროდ გვიპასუხეთ და გვიგზავნეთ. გეთაყვა, უფრო მეტი, მეტი და მეტი მუშათა კორესპონდენციები... თქვენი ნ. ლენინი“<sup>2</sup>.

1905 წელს „პროლეტარიატის ბრძოლაში“ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატიები: „მესამე ყრილობა“, „რსდმპ III ყრილობის რეზოლუცია კავკასიაში მომხდარი ამბების შესახებ“ და სხვ.

<sup>1</sup> მ ა კ ა რ ი გ ო გ უ ა ძ ე. მოგონება ავლაბრის არალეგალური სტამბის შესახებ. მასალებისა და დოკუმენტების კრებული — „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.)“, გვ. 53—58.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი ი. თხზ., ტ. 34, გვ. 312.



„გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ რედაქციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან, ვ. ი. ლენინთან და მისი ხელმძღვანელობით გამოცემული გაზეთის „ვპერიოდის“, ხოლო შემდეგ „პროლეტარის“ რედაქციებთან. ამ გაზეთებისათვის „პროლეტარიატის ბრძოლის“ რედაქცია უაღრესად საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა.

თავის მხრივ ვ. ი. ლენინი და პარტიის ცენტრალური ორგანოები „ვპერიოდი“ და „პროლეტარი“ მუდმივ დახმარებას უწყევდნენ კავკასიის კავშირს და მის ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლას“...

ეს გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევდნენ კავკასიის კავშირის კომიტეტის საგამომცემლო მუშაობას და განსაკუთრებით „პროლეტარიატის ბრძოლას“, რომელიც მათი დასკვნით წარმოადგენდა საინტერესო გაზეთს<sup>1</sup>.

ავლაბრის სტამბაში გამოიცა ვ. ი. ლენინის ნაშრომები: „სოფლის დარბეზს“, რომელიც ქართულ ენაზე გამოვიდა სათაურით „სოფლის გაჭირვებულ გლეხკაცობას“, „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“, ფურცელი „სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა“, ხოლო ბროშურაში „ცნობა მესამე კრებაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა“ დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სტატია „ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ“ და III ყრილობაზე მიღებული უმთავრესი რეზოლუციები, რომელთა უმრავლესობა ბელადს ეკუთვნის.

„ლენინის მიერ დაწერილ ამ ისტორიულ დოკუმენტებში მოცემულია რევოლუციისა და მისი მამოძრავებელი ძალების დახასიათება, გარკვეულია პროლეტარიატის ამოცანები, პროლეტარიატის ჰეგემონიის როლი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, მუშებსა და გლეხებს შორის კავშირისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის საკითხები“<sup>2</sup>.

სტამბაში დაბეჭდა რსდმპ პარტიის მეორე ყრილობაზე მიღებული „რსდმპ პროგრამა“ და პარტიის მესამე ყრილობაზე მიღებული „რსდმპ წესდება“, ი. ბ. სტალინის ბროშურები „გაკვირვებით პარტიულ უთანხმოებაზე“ და „ორი შეჯახება“ ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე, ავლაბრის სტამბაში გამოცემული მრავალი პროკლამაცია და ფურცელი ი. ბ. სტალინის მიერაა დაწერილი.

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1953 წლის 27 დეკემბერი.

<sup>2</sup> ზ. გეგეშიძე, ავლაბრის არაღებულური სტამბა 1903—1906 წწ. ისტორიული ნარკვევი, თბილისი, 1954, გვ. 36.



ავლაბრის სტამბაში გამოვიდა აგრეთვე მ. ს. ოლმინსკის „ობორტუნის-მის სხვადასხვა სახეობა“ და „ახალ გზაზე“, ს. დიკშტეინის „ეინ რით ცხოვრობს?“, კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრების ნაშრომები და სხვ.

სტამბაში დასაბეჭდ ლიტერატურას წერდნენ და რედაქციას უკეთებდნენ კონსპირაციულ ბინებზე. „მ. ბოჭორიძის ბინა საუკეთესო კონსპირაციულ პუნქტს წარმოადგენდა; იქ მიდიოდნენ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრები ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ს. შაუმიანი, ფ. მახარაძე, ა. წულუკიძე, ვ. ბობროვსკი“<sup>1</sup>.

განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობდა სტამბა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1905 წლის 8 იანვრიდან 20 ნოემბრამდე არასრული მონაცემებით აქ დაიბეჭდა 275 215 ეგზემპლარი პროკლამაცია, გაზეთი და სხვ.

„რსდმპ კავკასიის კავშირი უშვებდა ლიტერატურას რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. ამრიგად, ეს სტამბა აქ გამოცემული ლიტერატურის არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმითაც ემსახურებოდა მრავალეროვანი ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს“<sup>2</sup>.

დაბეჭდილ ლიტერატურას გადამზიდავთა და გამავრცელებელთა ჯგუფის წევრები ავრცელებდნენ მთელ ამიერკავკასიაში. ესენი იყვნენ რევოლუციონერები: გიგო ლელაშვილი, კამო (სიმონ ტერ-პეტროსიანი), მოსე კვარაცხელია, მარტიროს მირაქიანცი, მარო ბოჭორიძე-ჩიტიშვილისა, ელისე ლომინაძე, გ. დეკანოზიშვილი, მ. სუვოროვა-ფეოდოროვა და სხვები.

თუ როგორ გაჰქონდათ და ავრცელებდნენ ლიტერატურას, ამის შესახებ ნათლად მოგვითხრობს გ. ლელაშვილი: „დაბეჭდილ ლიტერატურას სარდაფში ტომრებში ვაწყობდით, ჭასთან მიგვქონდა და მივუბამდით ჭაში ჩაშვებულ თოქს, როდესაც ზევით ავიდოდით თან აგვქონდა აგრეთვე ლიტერატური სავესტო ტომარა. ფარდულიდან ლიტერატურა გადაგვქონდა ნახევარსარდაფში ბაქოში, ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისში, ერევანსა და ელიზაბეტპოლში გასაგზავნ ლიტერატურას ვალაგებდით ყუთებში. იმისათვის, რომ სიმძიმე მომატებოდა, ყუთებში რამდენიმე აგურს ვაწყობდით. ყუთებს მჭიდროდ ვაჭედებდით ლურსმნით და დანიშნულების მიხედვით ვაწერდით სადგურს.

დაბეჭდილ ლიტერატურას უმთავრესად მე ვაგზავნიდი, ხოლო თბილისსა და მის უახლოეს რაიონებში გასავრცელებელი ლიტერატურა მიგვქონ-

<sup>1</sup> ზ. ვეგეშიძე. მიხეილ ბოჭორიძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, 1957, გვ. 30.

<sup>2</sup> საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1971 წ. გვ. 161.

და ავლაბარში ერთ-ერთ საპარიკმახეროში და მიხა ჩოდრიშვილის საღურგლო სახელოსნოში. ლიტერატურა მიქონდა ამხანაგ ვანოს სახლშიც (ადელხანოვის ქარხნის მუშა იყო). სხვა ქალაქებისათვის განკუთვნილ ლიტერატურას ჩვენ სად. ნავთულდიდან ვგზავნიდით. გაგზავნის მთელი ოპერაციის დასაჩქარებლად მზიდველს კარგა ბლომად ვაძლევდით ფულს, რისთვისაც იგი დაუყოვნებლივ სწონიდა ყუთებს და ჩვენს იქ ყოფნაში შეჰქონდა ისინი საბარგო ვაგონში. გაგზავნილი „ტვირთის“ ქვითრებს ვაბარებდი მიხო ბოჭორიძეს.

ლიტერატურის გაგზავნა თვეში ორჯერ ხდებოდა. სტამბიდან ლიტერატურა ჩვეულებრივ მიყრუებული ქუჩებით გადაგვქონდა. ქაღალდისა და ლიტერატურის საზიდავად ავლაბრის სტამბას საკუთარი ტრანსპორტი — ურიკა ჰქონდა<sup>1</sup>.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი რევოლუციური ლიტერატურა კრველდებოდა არა მარტო კავკასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც — რუსეთში, უკრაინაში, შუა აზიისა და სხვ.

იგი სისტემატურად ეგზავნებოდა ვ. ი. ლენინს, ბოლშევიკების საზღვარგარეთულ ცენტრს.

თავისი არსებობის მანძილზე არალეგალურმა სტამბამ ორჯერ შეწყვიტა მუშაობა. პირველად 1905 წლის ნოემბრის ბოლოს, როცა 17 ოქტომბერს მეფის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ ფორმალურად გამოცხადდა ბეჭდვითი სიტყვით თავისუფლება და 20 ნოემბრიდან გამოსვლა დაიწყო რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანომ — ყოველდღიურმა ლეგალურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „კავკასსკი რაბოჩი ლისტოკმა“, ხოლო დეკემბრის ბოლოს, როდესაც რეაქცია გაიწვავდა და აიკრძალა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების გამოცემა, სტამბამ ისევ განაახლა მუშაობა.

სტამბამ მეორედ შეაჩერა მუშაობა 1906 წლის მარტში. საცხოვრებელ შენობაში შეცადინეობა დაიწყო რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტის სამხედრო-ტექნიკურმა ჯგუფმა, რომელიც მუშათა რევოლუციური გამოსვლებისათვის სამხედრო ინსტრუქტორებს ამზადებდა. იქვე მოეწყო ფეთქებად ნივთიერებათა დამამზადებელი ლაბორატორია. ჯგუფში შედიოდნენ: მიხო ბოჭორიძე, ნინო ალაჯალოვა და სხვ.

„ჩვენ წარმოვადგენდით ვითომ ერთ ოჯახს ზარდიაშვილის გვარით, —

<sup>1</sup> გ. ლელაშვილი. როგორ იბეჭდებოდა და იგზავნებოდა ავლაბრის არალეგალური სტამბის ლიტერატურა. მასალებისა და დოკუმენტების კრებული — „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.)“, გვ. 48—52.



იგონებდა ნინო ალაჯალოვა, — წარმოც, გახურებულ და ამასთან ერთად სახიფათო მუშაობაში მიმდინარეობდა დღეები. დღის განმავლობაში გაკეთებულ ბომბებსა და ფუგასებს ღამით ფროხილად ჩავუშვებდით ჭით მიწისქვეშეთში...

როცა დაბნელებოდა, მაგრად ვხურავდით ფანჯრების დარაბებს, და ღამის მკრთალ შუქზე ვადგენდით მომავალი გამოსვლების, საბარკალო ბრძოლების და სხვ. გეგმებს...

ამხ. მიხო ჩვეულებრივ ძალიან ადრე დგებოდა, და აი, სრულიად შემთხვევით მან ჭიშკრის ახლოს, გაღავანთან, შეამჩნია ჩაცუცქული საეჭვო სუბიექტი; მას თვალზე ქუდი ჩამოეფხატა და ყურადღებით კითხულობდა გაზეთს. მიხო მაშინვე მიხვდა, თუ რაშია საქმე, და რომ ამ საეჭვო პირს თვალში არ მოხვედროდა, მეორე მხარისაკენ მიბრუნდა, მაგრამ აქაც ასეთივე ფიგურა შეამჩნია. მაშინ მიხო სწრაფად შემოვარდა პატარა ჭიშკარში და მყისვე ყველანი ფეხზე დაგვაყენა. გადავწყვიტეთ, უწინარეს ყოვლისა ჩაგვეშვა მიწისქვეშეთში ყველაფერი, რაც კი სახლში საეჭვო რამ იყო, რათა, თუ პოლიცია თავს დაგვესხმოდა, არ მიგვეცა მისთვის რაიმე საშიხილი და რაც მთავარია ჩავარდნი-საგან გადაგვერჩინა ამიერკავკასიის პროლეტარიატის სიამაყე — სტამბა...

სწრაფად მივალაგეთ ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო და გავედიოთ სახლიდან. ამხ. ბაბე ზინაზე დარჩა, როგორც დიასახლისი. მას დავუტოვეთ ყველა ჩვენი ნივთი, რომლებიც, თუ საქმე კეთილად გათავდებოდა, მას ღამით სახლიდან უნდა გავტანა<sup>1</sup>.

ჯგუფმა სტამბის ჩავარდნის საფრთხის გამო შეწყვიტა მუშაობა.

ჯერ კიდევ ორი კვირით ადრე ვიდრე სამხედრო-ტექნიკური ჯგუფი სტამბის შენობას დატოვებდა, უანდარმერიამ, რომელმაც უკვე კარგად იცოდა სტამბის ადგილსამყოფელი, განსაკუთრებით გააძლიერა მეთვალყურეობა მასზე.

აი, რას მოახსენებდა 1906 წლის 1 აპრილს ოხრანკის თბილისის განყოფილების უფროსი კავკასიის პოლიციის გამგეს: „ავენტურის ცნობების თანახმად, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის საიდუმლო სტამბა დღემდე იმყოფებოდა ქალაქის ბოლოში ნავთლუდის მხარეს... იმ მიწაზე, რომელიც ეკუთვნოდა რკინიგზის სახელოსნოების ყოფილ ზეინკალს როსტომიშვილს. როსტომიშვილმა ეს მიწა შეწირა სტამბისათვის მოხერხებული შენობის ასაგებად, რომელიც ააგეს კიდევ 1903 წელს... ამ შენობის ქვეშ უნდა იყოს მიწისქვეშა თა-

<sup>1</sup> ნინო ალაჯალოვა. ფურცლები მოგონებიდან. მასალებისა და დოკუმენტების კრებული — „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლარის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.)“, გვ. 60—61.

ღებთან სადგომი საგანგებოდ შეწინააღმდეგებულ შემთხვევებით, რომელშიაც უნდა იმყოფებოდეს სტამბა... სტამბა ჩალიან დიდია და საუცხოოდ მოწყობილიც უნდა იყოს; იქ მოთავსებული უნდა იყოს ხელის დახვეები, ბოსტონკა, სწრაფ-მბეჭდავი...

სტამბაში ყოველთვის 3 ასოთამწყოები მუშაობდა, რომელთაგან ცნობილია ...გიორგი ლელაშვილი; სტამბას განაგებენ თავისი დანაშაულებრივი საქმიანობით განყოფილებისათვის დიდი ზნიდან ცნობილი ყოფილი მასწავლებელი მიხეილ ცხაკაია და ღვინის საწყობის ბუღალტერი მიხეილ ბოჭორიძე... აღნიშნული სტამბის ლიკვიდაციას მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს<sup>1</sup>.

1906 წლის 14 აპრილს ოზრანკის თბილისის განყოფილების უფროსი განმეორებით მოხსენებაში კავკასიის პოლიციის გამგეს სწერდა: „ამჟამად მეთვალყურეობით დადგენილია, რომ აღწერილ შენობაში ცხოვრობს განყოფილებისათვის ცნობილი მიხეილ ბოჭორიძე (მეტსახელი — „ოზორნოი“); კიდევ ორი ადგილობრივი მცხოვრები (ხანში შესული კაცი და ქალი) და ახალგაზრდა, თექვსმეტიოდე წლის ქალიშვილი (პატარა ტანის, შეკრეპილი თმებით, სათვალეებიანი); აღნიშნულ შენობაში ღამე გაათია და თითქმის ყოველდღე მოდის ამერიკული მაღაზიის მფლობელი. ყველა მათ თვალყურს ადევნებენ და შერქმეული აქვთ მეტსახელები: „ოზორნოი“, „მატ“, „დრუჟინიკ“, „მელკაია“ (სათვალეებიანი ქალიშვილი) და „ამერიკანსკი“ (მაღაზიის მფლობელი).

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას, რომ 18 აპრილის (1 მაისის) მოახლოებასთან დაკავშირებით, აღნიშნული მონაცემების მიხედვით, მომავალ 15 აპრილს ღამით განზრახულია ლიკვიდაცია<sup>2</sup>.

მხოლოდ მიხო ბოჭორიძის სიფხიზლემ იხსნა დაბატმირებისაგან სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის წევრები და „დიასახლისი“, მან, როგორც ითქვა, 12 აპრილს რამდენიმე საეჭვო პიროვნება შეამჩნია, რომლებიც სახლს უთვალთვა-

\* 1 ოზრანკის თბილისის განყოფილების უფროსის მიერ კავკასიის პოლიციის გამგეს სახელზე გაგზავნილი მოხსენება რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არალეგალური სტამბის შესახებ, 1906 წ. 1 აპრილი, № 716. მასალებისა და დოკუმენტების კრებული — „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავღაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.)“, გვ. 65.

2 ოზრანკის თბილისის განყოფილების უფროსის მიერ კავკასიის პოლიციის გამგეს სახელზე გაგზავნილი მოხსენება ავღაბრის არალეგალურ სტამბასთან დაკავშირებული პირების შესახებ, 1906 წ. 14 აპრილი, № 828. მასალებისა და დოკუმენტების კრებული — „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავღაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.)“, გვ. 65—68.





ლებდნენ და როგორც ნ. ალაჯალოვას მოგონებაში იყო აღნიშნული, მიხოს ბრძანებით ჯგუფმა სასწრაფოდ დატოვა სტამბის შენობა.

„...1906 წლის 14 აპრილს ჩემთან ბინაზე მოვიდა ერთი უცნობი, — იგონებდა დ. როსტომაშვილი — დიდხანს ვათვალიერებდი მას, მაგრამ ვერ მოვიგონე ვინ იყო, როცა აღაპარაკდა ვიცანი მ. ბოჭორიძე, რომელიც გადაცემული და ოსტატურად დაგრიმული იყო. ჩემ კითხვაზე: „რას ნიშნავს ყოველივე ეს?“, — მან მაცნობა, რომ ავლაბრის სტამბის ირგვლივ ჯაშუშები დადიან და ამიტომ სახლი სასწრაფოდ უნდა დავტოვოთ... მე დაუყოვნებლივ წავედი სტამბაში, გადავეცი პასპორტი ბაბეს, რომელმაც სწრაფად მიაღწია ორივე ოთახი, რომ არავითარი კვალი არ დარჩენილიყო, და გავიდა ეზოდან. სახლის ფანჯარაზე გავაკარი ქაღალდი — „სახლი ქირავდება“. ყველა ნივთი და ჭის თავზე მიბმული ბაგირი ერთი ნაცნობის დახმარებით ჩემთან გადავიტანე“<sup>1</sup>.

15 აპრილს. (ძვ. სტილით, ახლით 28 აპრილს) განთიადზე 150-მდე პოლიციელმა, ყანდარმმა და ჯარისკაცმა ალყა შემოარტყა სახლს. დაიწყო ჩხრეკა ოთახებში და სამზარეულოში მათ ვერაფერი იპოვეს, შემდეგ გადაწყვიტეს ჭის გამორკვევა, ჭაში ჩააგდეს ცეცხლმოკიდებული ქაღალდი, მისი კედლების გასაშუქებლად, რომელიც ჰაერის წნევამ შეიტაცა ფარულ გვირაბში, რაც კიდევ ერთხელ გაიმეორეს. ამრიგად, ისინი მიხვდნენ, რომ ჭაში, რაღაც გასასვლელი იყო. მასში ჩაუშვეს მგხანძრე, რომელმაც აღმოაჩინა ფარული გვირაბი, ძაგრამ ჭიდან ჩასვლა შეეშინდათ, ვინაიდან ისინი აქ ელოდნენ წინააღმდეგობის გაწევას. მათ გადაწყვიტეს აეყარათ სამზარეულოში იატაკი. ასეც გააკეთეს. გათხარეს მიწა სამზარეულოში, სადაც აღმოაჩინეს საიდუმლო ხვრელი, რითაც ჩავიდნენ სტამბაში და ამოიტანეს: შრიფტი, საბეჭდი მანქანა, დაბეჭდილი ლიტერატურა და სხვ. შემდეგ შენობის ცეცხლი წაუქიდეს, ხოლო სარდაფი ააფეთქეს.

სტამბის აღმოჩენას ხელი შეუწყო თბილისის ყანდარმერის შევსებამ გამოცდილი აგენტებით, რომლებიც გულმოდგინეთ დაეჭებდნენ იატაკქვეშა სტამბებს, მეთვალყურეობას უწევდნენ ცნობილი რევოლუციონერების საქმიანობას, და განსაკუთრებით კი მოლაღატე, პროვოკატორ გურჯივის მიერ სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის გაცემამ, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე ერ. ბედია 1937 წელს სტამბა-მუზეუმის გახსნი-

<sup>1</sup> დ. როსტომაშვილი. ავლაბრის არაღებულ სტამბა, დასახ. კრებული, გვ. 38.

სადმი მიძღვნილ სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკაში“ და სხვ. „ჟანდარმთა მთელი რიგი დოკუმენტები მოწმობს, თუ რა დიდხანს და გულმოდგინედ სცდილობდნენ სტამბის აღმოჩენას.

ყველაფრის მიუხედავად თ. ს.-დ. მ. პ.-ის კავკასიის კავშირის კომიტეტის არალეგალურმა სტამბამ ავლაზარში იარსება... 1906 წლის გაზაფხულამდე სტამბის ჩავარდნას ხელი შეუწყო პროვოკატორ გურჯიევის მიერ დაბეჭდვამ (გურჯიევი ბოლშევიკების ჯგუფს ამეცადინებდა სამხედრო საქმეში არალეგალური სტამბის სადგომის ზემო ნაწილში, ხოლო შემდეგ გასცა ყველანი<sup>1</sup>). ამასვე ადასტურებენ აგრეთვე იმ პერიოდის მთელი რიგი გაზეთები.

აი, რას ვკითხულობთ 1937 წლის 19 აგვისტოს გაზეთ „მუშის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში: „ცხადია თვითმპყრობელობას არ გამოეპარებოდა ასეთი ძლიერი არალეგალური სტამბის არსებობა. საქ. ცენტრ. არქივში დაცული ჟანდარმერიის მთელი რიგი მასალები მოწმობენ, თუ როგორ გულმოდგინეთ და ხანგრძლივად ეძებდნენ ისინი სტამბის ადგილს. მიუხედავად ამისა, ავლაზარის არალეგალურმა სტამბამ... 1906 წლის გაზაფხულამდე იარსება. მის ჩავარდნას ხელი შეუწყო, ერთის მხრივ, ჟანდარმერიის მიერ დამყარებულმა მეთვალყურეობამ, მეორეს მხრივ, პროვოკატორ გურჯიევის დასმენამ“.

ასეთივე აზრი მეორდება გაზეთ „წითელარმიელში“ დაბეჭდილ სტატიაშიც. „მის ჩავარდნას ხელი შეუწყო, ერთის მხრით ჟანდარმერიის მიერ დამყარებულმა სასტიკმა მეთვალყურეობამ. მეორეს მხრით დასმენამ პროვოკატორ გურჯიევისამ, რომელიც ამჟანაგების ჯგუფს ფეთქებად ნივთიერებათა და ყუმბარების დაშნადების ხერხებს ასწავლიდა“<sup>2</sup>.

გაზეთი „კომუნისტი“ სტამბა-მუზეუმის გახსნის მეორე დღეს სარედაქციო წერილში „ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ფაბრიკა“ კვლავ ხაზს უსვამდა სტამბის გაცემას.

„დობრომორეული შავი რეაქცია გაცოფებით ეძებდა რ. ს.-დ. მ. პ.-ის კავკასიის კავშირის კომიტეტის სტამბებს.

ბოლშევიკებისათვის ჩვეული კონსპირაცია, სახლის „დიასახლისის“ ბაბე ლაშაძე-ბოჭორიძის და სტამბის მუშების განსაკუთრებული სიფხიზლე დიდხანს ინახავდა უვნებლად ბეჭდვითი სიტყვის ამ შესანიშნავ ფაბრიკას.

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1937 წლის 20 აგვისტო.

<sup>2</sup> გაზ. „წითელარმიელი“, 1937 წლის 20 აგვისტო.



მაგრამ... აღმოჩნდა პროვოკტორი --- მოლაღატე და სტანბაც ჩავარდა პირსისხლიანმა შავმა რეაქციამ შური იძია. სტამბა გაანადგურა“<sup>1</sup>.

ამ უქანსკნელ ხანს ეს შეხედულება გაიზიარა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ზ. გეგეშიძემ, რაც მეტად საყურადღებოა, რადგან მას ავლაბრის არალეგალური სტამბის შესახებ ადრეგამოქვეყნებულ სტატიებში, ბროშურებსა და წიგნებში ვერჯიევი<sup>2</sup> არსად უხსენებია. აი, რას წერს იგი: „1906 წლის მარტში ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დროებით შეწყდა საგამომცემლო მუშაობა. სტამბაზე დაშენებულ საცხოვრებელ შენობაში მეცადინეობა დაიწყო სამხედრო-ტექნიკურმა ჯგუფმა, რომელიც მუშათა რევოლუციური ბრძოლისათვის სამხედრო ინსტრუქტორებს ამზადებდა. ჯგუფში შედიოდნენ მიხ. ბოჭორიძე, ნინო ალაჯალოვა და სხვები. „დიასახლისი“ იყო ბ. ბოჭორიძე, მათ ამეცადინებდათ სამხედრო საქმის სპეციალისტი გ. გურჯიევი, რომლის შესახებაც ზ. გეგეშიძე შენიშვნაში განაგრძობს: „როგორც შემდეგ გამოირკვა, გ. გურჯიევი იყო უნდარმერის აგენტი, რომელმაც ავლაბრის არალეგალური სტამბა გასცა (იხ. უკრნ. „რევოლუციის მატრიანე“, 1923, № 4, გვ. 123—126)“<sup>3</sup>.

სტამბის აღმოჩენით აღფრთოვანებულმა კავკასიის პოლიციის გამგემ დეპეშით აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს: „მოგახსენებთ, რომ არალეგალური სტამბის გაჩხრეკისას აღმოჩენილია: 80 ფუთამდე შრიფტი, 20 ფუთი ქაღალდი, 50 ფუთამდე პროკლამაციები სამ ენაზე, 30 ფუთამდე ბროშურები, საპასპორტო ბიურო, მრგვალი ბეჭედი, 18 ცალი სასტამბო უჯრა, გამზადებული ანაწყობები, ფეთქებად ნივთიერებათა ლაბორატორია...“<sup>4</sup>.

ავლაბრის საიდუმლო სტამბის შესახებ წერდნენ მთელი რიგი გაზეთები. „ელვის“ რედაქცია დაბეჭდეს, შიგ 24 კაცი დაიჭირეს — ავლაბარში საიდუმლო სტამბა აღმოაჩინეს... ასე იწყებოდა გაზეთ „ლამპარის“ პირველი

<sup>1</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1937 წლის 21 აგვისტო.

<sup>2</sup> გურჯიევის შესახებ დღემდე გამოუქვეყნებელი მამხილებელი დოკუმენტები ინახება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე კოჭლავაშვილის პირად არქივში.

<sup>3</sup> ს. ბერიძე, ზ. გეგეშიძე, გ. საითიძე. საქართველოს ისტორიულ-რევოლუციური ადგილები (მოკლე ნარკვევები), თბილისი, 1975, გვ. 101—102.

<sup>4</sup> კავკასიის პოლიციის გამგის დეპეშა შინაგან საქმეთა მინისტრს ავლაბრის არალეგალური სტამბის ჩხრეკის შედეგების შესახებ, 1906 წ. 16 აპრილი. დასახ. კრებული, გვ. 74.

ნომერი. მეორე გვერდზე „ახალ ამბებში“ „ლამპარის“ კორესპონდენტი იუწყებოდა — „შაბათს, 15 აპრილს, ავლაბარში გადაიდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალოს მახლობლათ, ასე 150—200 ფეხის მანძილზე, განკერძოებულათ ამენებულ სახლის ეზოში, იპოვეს ჭა სიღრმით 10 საყენი. შიგ ჭაში ჩასასვლელათ ბლოკი იყო გამართული. ასე შეიდი საყენის სიღრმეზე გვირაბი იყო გაყვანილი, ამ გვირაბით მეორე ჭაში შეიძლებოდა გასვლა. აქ ჭის კედელზე მიდგმული იყო კიბე 5 საყენის სიმაღლე, რომელსაც მეორე სარდაფში აყავდა. იქ იპოვეს კარგად მოწყობილი სტამბა 20 სასტამბე კასებით და რუსული, ქართული და სომხური ასოებით. გარდა ამისა იპოვეს 1500—2000 მანეთათ ღირებული ხელით სატრიალებელი მაშინა, სხვა და სხვა სიმკვებეები, ასაფეთქებელი სითხე და სხვა მასალები ყუმბარის შესამზადებელი, ყოველნაირი არალეგალური ლიტერატურა, ჯარების სხვა და სხვა ნაწილთა და სხვა დაწესებულებათა ბეჭდები, აგრეთვე ასაფეთქებელი ყუმბარა, 15 გირვანქა დინამიტით გატენილი. ამ სტამბას აცეტილენის სანათებით ანათებდენ. შიგვე ჰქონდათ ელექტრონის სიგნალიზაცია. სახლის ეზოში იპოვეს მზა ზომბა (?) და სხვ.

ამავე დღეს დაატუსაღეს 20-ზე მეტი კაცი, რომელთაც „ელვის“ რედაქციაში სხდომა ჰქონდათ. რედაქციის ბინა გაჩხრიკეს და იპოვეს შიგ არალეგალური ლიტერატურა, და ოცამდე პასპორტის ბლანკი. რედაქცია დაბეჭდილია.

როცა დატუსაღებულები ციხეში მიჰყავდათ, გზაში მარსელიძეს მღეროდენ („ა“)<sup>1</sup>.

რევოლუციის მამაცი რაინდები სიმღერით მიდიოდნენ საპრობილეებსა და კატორღებში, ადიოდნენ სახრჩობელებზე. რეპრესიებითა და ტერორით, დამსჯელი ექსპედიციებითა და სხვ. თვითმპყრობელობა უძლური აღმოჩნდა, მუშათა კლასი განაგრძობდა გმირულ ბრძოლას, ხალხს სწამდა, რომ გაიმარჯვებდა.

„სტამბის აღმოჩენამ მეფის მთავრობის ოფიციალურ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პრესაში დიდი განგაში გამოიწვია. გაზეთებში „კავკაზ“, „ზაკავკაზი“, „გოლოს კავკაზა“, „ნობათი“ და სხვ. დაიბეჭდა ცნობები ავლაბრის არალეგალური სტამბის აღმოჩენის შესახებ...“<sup>2</sup>.

აი, რას აღნიშნავდა გაზეთი „კავკაზი“: „საიდუმლო სტამბა. შაბათს, 15

<sup>1</sup> გაზ. „ლამპარი“, 1906 წლის 19(2) აპრილი.

<sup>2</sup> ზ. გეგეშიძე. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბები 1900—1920, გვ. 115.



აპრილს, ავლაბარში, ქალაქის მწვევე-გადამდებ სნეულებათა საავადმყოფოდან 150—200 ნაბიჯის დაცილებით განცალკევებით მდგომ დ. მ. როსტომაშვილის სახლის, რომელშიაც არავინ ცხოვრობდა, ეზოში აღმოჩენილ იქნა ჭა 10 სანტიმეტრის სიღრმის, რომელშიც შეიძლება ჩასვლა ბლოკით... ვინაიდან ამ საიდუმლო სტამბიდან სხვადასხვა მიმართულებით გადიან რაღაც მავთულები, ამიტომ ამჟამად მიმდინარეობს გათხრები, იმ იმედით, რომ აღმოჩენილი იქნება სხვა მიწისქვეშა ნაგებობა. ამ სტამბაში ნაპოვნი ინვენტარი გადაზიდული იქნა 5 საზიდით<sup>1</sup>, ხოლო გაზეთი „ნობათი“ 22 აპრილს ადგილობრივ ქრონიკაში წერდა — „15 აპრილს ავლაბარში... იპოვეს კარგად მოწყობილი სტამბა, 20 კასები რუსული, ქართული და სომხური შრიფტებით; გარდა ამისა იპოვეს 2000 მანეთად ღირებული მამინა, სხვადასხვა სიმჭავეები, ასაფეთქებელი სითხე და სხვა მასალები ყუმბარების მოსამზადებლად, ყოველნაირი არა ლეგარული ლიტერატურა, ჯარების სხვადასხვა ნაწილების და სხვა დაწესებულებათა ბეჭდები. ერთი 15 გირვ. ყუმბარა დინამიტით გატენილი. სტამბაში ელექტრონის სიგნალიზაცია ჰქონდათ მოწყობილი; ეზოში იპოვეს სამი გაყვთებული ყუმბარა.

ამავე დღეს „ელვის“ რედაქციაში, როგორც ამ საქმის მონაწილენი, დაპატიმრეს 24 კაცი; რომელთაც კრება გაემართათ, დაპატიმრებულნი როცა საპრობილეში მიჰყავდათ, გზაზე მარსელიეზას მღეროდნენ<sup>2</sup>.

არ ცხრებოდნენ მთავრობის ოფიციალური გაზეთები, ისინი ახალ-ახალ ცნობებს ბეჭდავდნენ თავის ფურცლებზე ავლაბარის არალეგალური სტამბის აღმოჩენის შესახებ. 20 აპრილს „კავკაზი“ წერდა: „თბილისის გარეუბანში... საიდუმლო სტამბის აღმოჩენის გამო გვატყობინებენ: „15 აპრილს ჯარების მიერ ახალ-ტროიციკის დასახლებაში სახლების დათვალიერებისას ერთ-ერთ სახლში, რომელიც ეკუთვნის დავით როსტომაშვილს... ყურადღება მიიპყრო სახლის სახურავზე აგურის საკვამლე მილმა და სახლში ლუმპლის არ არსებობა. კედლების დათვალიერებისას აღმოჩნდა ხვრელი, რომელსაც მიეყვართ ქვევით, ნაშინ ყურადღება მიექცა იმას, რომ სახლის ქვევით ქაღალდის სარდაფში ერთ ადგილას არის ფხვიერი გრუნტი, რომლის ორ არმინამდე გათხრისას წავაწყდით ფიცრებით ამოშენებულ ხვრელს, რომელსაც მიეყვადით აგურის თაღებიან ფართო სარდაფისაკენ — სიმაღლით 4<sup>1</sup>/<sub>2</sub> არშ. და რომელშიაც აღმოჩენილ იქნა დიდი სტამბა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზა-

<sup>1</sup> Газ. «Кавказ», 18 апреля 1906 года № 88.

<sup>2</sup> გაზ. „ნობათი“, 1906 წლის 22 აპრილი.

ციისა და ე. წ. ჯარისკაცთა კავშირის...“<sup>1</sup>: შემდეგ იქვე ვგებულობთ, რომ: „პირები, რომელთაც ბრალი ედებათ ავღაბრის საიდუმლო სტამბისა და ყუბ-ბარების დამამზადებელ ლაბორატორიის საქმის გამო, როგორც გადმოგვცე-ძენ, გადაეცემიან სამხედრო სასამართლოს“.

განარებული შინაგან საქმეთა მინისტრი 18 აპრილს სტამბის ხელში ჩაგ-დების შესახებ მოახსენებდა მინისტროს საბჭოს თავმჯდომარეს ვიტეს: „ქ. თბილისში 15 აპრილს ხელთ ვიგდეთ დიდი სტამბა და ფეთქებადი ჭურვე-ბის სახელოსნო, რომლებიც ეკუთვნოდა კავკასიის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს და სამხედრო ორგანიზაციებს... გაჩხრეკამდე იქ მცხოვრებმა პირებმა მოასწრეს მიმალვა, მაგრამ ბევრი მათგანი ცნობი-ლია ადგილობრივი დაცვის განყოფილებისათვის, და მათ საძებრად მიღებუ-ლია ენერგიული ზომები...“<sup>2</sup>.

სტამბის აღმოჩენის შემდეგ ქალაქში დაიწყო დაპატიმრებები. ლეგალურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ელვას“ რედაქციაში დაკავებულთა შორის იყვნენ ფილიპე მახარაძე და მიხო ბოჭორიძე, შემდეგ დააპატიმრეს: დავით როსტომაშვილი, ნინო ალაჯალოვა და მიხა ცხაკაია. ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და ნინო ალაჯალოვა მალე გაათავისუფლეს სტამბასთან კავშირის დაუმტკიცებლობის გამო. მ. ბოჭორიძე საპყრობილედან გაიქცა, დავით როს-ტომაშვილს კი მიუსაჯეს ციმბირში გადასახლება.

გაზეთ „ზაკავკაზიის“ სასამართლო ქრონიკის განყოფილებაში ვკითხუ-ლობთ: „გუშინ 21 დეკემბერს სასამართლო პალატაში დაიწყო პოლიტიკური საქმის მოსმენა „ავღაბრის ჯოჯოხეთური მანქანის“ შესახებ... საბრალდებულთა სკამზე ზის მცველთა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი დ. როსტომაშვილი...“<sup>3</sup>. შემდეგ „ზაკავკაზიი“ თავის ფურცლებზე კვლავ განაგრძობს „ავღაბრის საქ-მის“ სასამართლო პროცესის შესახებ ბეჭდვას: „თბილისის „ავღაბრის ჯო-ჯოხეთური მანქანის“ შესახებ საქმის მოსმენა სასამართლო პალატაში გრძელ-დებოდა 20-დან გუშინდლამდე.“

<sup>1</sup> Газ. «Кавказ» 20 апреля 1906 года.

<sup>2</sup> შინაგან საქმეთა მინისტრ ღურნოვოს მოხსენება მინისტროს საბჭოს თავმჯდომარეს ვიტეს თბილისში არალეგალური სტამბის ხელში ჩაგდების შესახებ, 1906 წ. 18 აპრილი. მასა-ლებისა და დოკუმენტების კრებული — „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავღაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.)“, გვ. 75—76.

<sup>3</sup> Газ. «Закавказье», 22 декабря 1907 года.



სასამართლო პალატამ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: როსტომაშვილს.. მიესაჯა გადასახლება<sup>1</sup>.

„მაგრამ „ავლაბრის სტამბის საქმე“ ამით მაინც არ დამთავრებულა. ჟანდარმერია კვლავ თავგამოდებით დაეძებდა სტამბის მთავარ ორგანიზატორებს, თუმცა მათი ძებნა უშედეგო იყო. ეს გარემოება ნათლად მოწმობს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროფესიონალ-რევოლუციონერთა ლენინური კადრების განსაკუთრებულ კონსპირაციულ მუშაობას.“

\* \* \*

ავლაბრის იატაკქვეშა სტამბის დარბევით ამიერკავკასიაში რევოლუციური ლიტერატურის ბეჭდვა არ შეწყვეტილა, გამოდიოდა ლეგალური და არალეგალური ბოლშევიკური გაზეთები, ბროშურები, პროკლამაციები, რომლებიც რაზმავდა მშრომელებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მეფის ადგილობრივი ხელისუფალნი, რომლებმაც სტამბა გაანადგურეს, ანგარიში მოტყუებდნენ. მათ ვერ მოსპეს ის ნათელი იდეა, რომლის გასავრცელებლადაც ბოლშევიკებმა ეს სტამბა შექმნეს. აი რას წერდა 1954 წელს ავლაბრის სტამბა-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ვერმანის პოლიციის ყოფილი პრეზიდენტი ვილჰელმ ელფესი: „პოლიციას შეუძლია და აპატიმროს და მოკლას კიდევ ადამიანები, მაგრამ იგი უძლურია ჩაახშოს იდეა. იდეა პოლიციაზე ძლიერია“.

პროლეტარიატის გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის იდეამ ხორცი შეისხა. ამ იდეებისთვის ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო. 1917 წლის დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ხალხს თავისუფლება მოუტანა. ამ ბედნიერი ცხოვრების მოპოვებაში თავისი წვლილი ავლაბრის არალეგალური სტამბასაც მიუძღვის. „სასიხარულო და სამაყობო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის საქმიანობა. მასშია ერთ-ერთი საწინდარი დიდი ოქტომბრის გამარჯვებისა...“ — წერდა ბულგარეთის კომპარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საერთო-სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე, ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი, „ხალხთა შორის

<sup>1</sup> Газ. «Закавказье», 25 декабря 1907 года.

<sup>2</sup> ზ. გეგეშიძე. ავლაბრის არალეგალური სტამბა 1903—1906 წწ. ისტორიული ნარკვევი, გვ. 60.

მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საქრთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი ცოლა დრაგოინიჩევა

შრილანკას მუშათა დელეგაციის წევრები კი აღნიშნავენ: „...ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის რევოლუციონერთა არალეგალურმა მუშაობამ, რევოლუციურმა ერთუზიანებმა, ასეთმა მუშაობამ შესაძლებელი გახადა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება. ჩვენ ცვილონის მუშათა კლასის სახელით მივესალმებით თბილისის რევოლუციონერთა თავდადებას“<sup>1</sup>.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჯერონად დააფასეს ამ ბრწყინვალე რევოლუციური ძეგლის უდიდესი მნიშვნელობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში და გადაწყვიტეს მისი აღდგენა. 1935 წლის 16 ნოემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება: ამ ღირსშესანიშნავი ისტორიულ-რევოლუციური ძეგლის აღდგენის შესახებ.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს სტამბის შენობის აღდგენაში კონსულტაციებით დიდი დახმარება გაუწიეს დ. როსტომაშვილმა, ბ. ბოჭორიძემ, ს. ჩოდრიშვილმა, გ. ლელაშვილმა, ნ. ალაჯალოვამ, მაკარ და მანასე გოგუაძეებმა, ტ. ვახტანგოვმა, ვ. წულაძემ და მ. კვარაცხელიამ. 1937 წელს სტამბა აღდგენილ იქნა თავდაპირველი სახით. სტამბის ზემოთ დაშენებულ საცხოვრებელ ოთახებში გამოფინეს ავლაბრის არალეგალური სტამბის ისტორიის ამსახველი დოკუმენტები და ფოტოსურათები.

1937 წლის 18 აგვისტოს გაზეთი „კომუნისტი“ საქართველოს მშრომელებს აუწყებდა: 20 აგვისტოს საღამოს 7 საათზე, შედგება ავლაბრის რესტავრირებული ბოლშევიკური არალეგალური სტამბა-მუზეუმის გახსნა.

20 აგვისტოს „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკასა“ და სხვა გაზეთებში დაიბეჭდა სტატიები, რომლებიც მიეძღვნა ავლაბრის არალეგალური სტამბის ისტორიასა და რესტავრირებული შენობის აღწერას. იმავე დღეს, მემორიალური სტამბა-მუზეუმი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ეს იყო დიდი სახალხო დღესასწაული. სტამბასთან მრავალმა ათასმა კაცმა მოიყარა თავი. ეზო ვერ იტევდა მუზეუმის გახსნაზე დასწრების მსურველთ.

<sup>1</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 8076, აღწერა 1, საქმე 563, ფურც. 33.



„წარსულში არაფრით შესანიშნავი კასპის ქუჩა გამოიყურება საზეიმოდ, სადღესასწაულოდ...“

ხალხის დიდმა ნაკადმა გუშინ ქუჩის მრავალი წლის მკუდროება დაარღვია.

ყველა მღელვარებით უახლოვდება მას — აი, ის ავლაბრის იატაკქვეშა სტამბა, რომელიც ავსებდა ქალაქებსა და სოფლებს მებრძოლი ბოლშევიკური გაზეთებით, ფურცლებით, პროკლამაციებით, ბროშურებით...

ეზო, სახლი, აივანი სავსეა ხალხით...

იწყება იატაკქვეშა ბოლშევიკური სტამბის დათვალიერება, რომელიც აღდგენილია იმ სახით, როგორც იყო მაშინ, როდესაც ღრმა იატაკქვეშეთის უმძიმეს პირობებში სამ ენაზე იბეჭდებოდა „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი; ლენინის და ბოლშევიკების პარტიის მგზნებარე მოწოდებები, პროკლამაციები, ბროშურები...


რკინის დახვეულ კიბეს ჩაყვავართ სარდაფში. სიგრილე იგრძნობა. სინესტეა. აი, სტამბაც. კასები, საბეჭდი მანქანა „აუგსბურგი“, სამუშაო მაგიდა, ნავთის ლამპები...

ყველაფერი ისეთ მდგომარეობაშია თითქოსდა რევოლუციის დაუღალავი მებრძოლები, იატაკქვეშა სტამბის მუშები ეს-ეს არის გავიდნენ აქედან<sup>1</sup>.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1937 წლის 21 აგვისტოს წერილი კი „ავლაბრის ბოლშევიკური რესტავრირებული იატაკქვეშა სტამბის გახსნა“ გვაუწყებდა „...20 აგვისტოს საღამოს აქ შეიკრიბნენ პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები, თბილისის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშა-სტახანოველები, რკინიგზელები, საქართველოს კპ (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომებისა და პარტიკომების მდივნები, რათა დასწრებოდნენ ავლაბრის ბოლშევიკურ რესტავრირებულ იატაკქვეშა სტამბის გახსნას.

ამ პატარა სახლში ყველაფერი აღდგენილია ისე, როგორც ეს იყო სამ ათეულ წელზე მეტი ხნის წინათ, როდესაც ღრმა იატაკქვეშა სამ ენაზე იბეჭდებოდა „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი; იბეჭდებოდა ლენინის, ბოლშევიკების პარტიის მგზნებარე მოწოდებები, პროკლამაციები, ბროშურები... სარდაფზე (სადაც მოთავსებულია სტამბა) დაშენებულ ორ პატარა ოთახში გამოფენილ დოკუმენტებში ასახულია ეპიზოდები, ბოლშევიკების პარტიის იატაკქვეშა გმირული ბრძოლებისა, რო-

<sup>1</sup> Газ. «Вечерный Тбилиси», 21 августа 1937 года.



3. ი. ლენინი  
1870—1924






ი. ბ. სტალინი  
1879—1953




მ. გ. ტხაკიია  
1865—1950



ა. გ. წულუკიძე  
1876—1905



ს. გ. შუმეიანი  
1878—1918




ფ. უ. მახარაძე  
1868—1941



პ. ა. ჭაფარიძე  
1880—1918



კომიტეტი 1903—1906 წწ.




მ. მ. ბოქორიძე  
1873—1913



ვ. ს. ბობროვსკია  
1873—1924



მ. ნ. დავითაშვილი  
1877—1915



ბ. მ. კვანანცი  
1878—1911



დ. ს. პოსტოლოვსკი  
1876—1948



ნ. ნ. ალაჩალოვა  
1881—1964






დ. მ. როსტომავილი  
1871—1944



თ. ნ. მალრაძე  
1875—1906




მ. ნ. მალრაძე  
1877—1953



ს. ი. ჩოდრიშვილი  
1861—1942




ვ. ი. ჩოდრიშვილი  
1866—1934



ნ. ი. ჩოდრიშვილი  
1858—1919

ავლაზრის არაღებულური  
სტამბის სქემა კრილში



ავლაზრის არაღებულური სტამბის „ღიასხლისეზი“




ზ. გ. ლაშაძე-ბოჭორიძე  
1861—1946



მ. ა. გოგუაძე  
1879—1957



აველაზრის არალეგალური სტაბის ასოთაგჟუოტა და მემბრანოტა ჯგუფი



გ. ზ. ლელაშვილი  
1881—1943



ვ. გ. ნულაძე  
1877—1953



ე. ა. კალანდაძე  
1886—1906



ტ. ი. ვახტანგოვი  
1884—1953



მ. ი. გოგუაძე  
1881—1959




მ. ო. გოგუაძე  
1882—1939



რსდგპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გოლუმიკოური ლიბერატორის  
ბაღაჩიშვილი და გავაგრცელებელთა ჯგუფი



ს. ა. ტერ-პეტროსიანი (კამო)  
1882—1922



გ. ზ. ლულაშვილი  
1881—1943



მ. ზ. ბოქორაძე-ჩიტაშვილისა  
1885—1930



მ. მ. კვარაცხელია  
1882—1942




ე. გ. ლომინაძე  
1880—1916



მ. მ. გირაკიანი  
1883—1912






ვ. ი. ლენინი. სოფლის დარიბებს.  
ბროშურა. 1905 წ.  
ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ. ბროშურა. 1905 წ.

პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა. ბროშურა. 1905 წ. ფურცელი „სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა“. 1905 წ. (მონტაჟი)



ვაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ -- რსდმკ კავკასიის კავშირის ორგანო ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე (მონტაჟი)





რსდმპ პროგრამა მიღებული პარტიის II ყრილობის მიერ.  
1905 წ. რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე

<h2 style="margin: 0;">წესდება</h2> <p style="margin: 0;">რუსეთის სოც.დემოკრატი. მუშათა პარტიისა, მიღებული მისივე პარტიულ კავშირზე.</p> <p style="margin: 0;">I პარტიის წევრთა ითვლება ყველა ის, ვინც მიიღებს მის პროგრამას, ვინც კონტრიბუციას შემწეობას უწევს პარტიას და მონაწილეობას იღებს პარტიის მუშაობით ერთ-რომელმაც მის ორგანიზაციაში.</p> <p style="margin: 0;">§ 2. პარტიის უმაღლეს ორგანოთ (დაწესებულებათ) ითვლება პარტიული კრება (სიგელი). მის იქვეს ყოველწლიურ ცენტრალური კომიტეტი. ცენტრალური კომიტეტი მოვალეა მოიწვიოს კრება, ორი თვის განმავლობაში, თუ მის მოწვევას იხილოენ პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც ერთათ ანუ ყველა ხმების ნახევარ უფლება ექნებათ სიგელზე. კრება ითვლება სასიონიროთ, თუ მასზედ წარმოადგენილ ორგანიზაციებს ერთათ ვალდებუებთ ხმების ნახევარზე მეტი უფლება ექნებათ.</p> <p style="margin: 0;"><b>შეცვლილება I.</b> თუ ვინაობა, სრულ უფლებებანა კომიტეტებში კრება მოიპოვეს და ცენტრალური კომიტეტში უარი განაცხადა, მაშინ კრებას იწვევს ორგანიზაციული კომიტეტი, ახლებელი სრულუფლებიანი ორგანიზაციებს წარმოადგენილთა დამფუძნებლებზე. ორგანიზაციულ კომიტეტს, სიგის მოწვევაში, ენიჭება ცენტრალურებს ანუ უფლებები.</p>	<h2 style="margin: 0;">УСТАВЪ</h2> <p style="margin: 0;">РОССИЙСКОЙ СОЦІАЛЪДЕМОКРАТИЧЕСК. РАБОЧЕЙ ПАРТІИ. ПРИНЯТЫЙ НА ТРЕТЬЕМЪ-ЕЙ СЪѢЗДѢ.</p> <p style="margin: 0;">§ 1. Членомъ партіи считается всякій, принимающій ея программу, поддерживающій партію матеріальными средствами и участвующій личною работою въ одной изъ ея организаций.</p> <p style="margin: 0;">§ 2. Верховнымъ органомъ партіи является Партийный съездъ, онъ созывается ежегодно Центральнымъ Комитетомъ Партіи. Центральный Комитетъ обязанъ созывать съездъ въ теченіе двухъ мѣсяцевъ, если сомыя съездъ требуютъ партийныя организации, имѣющія имѣть право на половину голосовъ на съездѣ.</p> <p style="margin: 0;">Съездъ считается действительнымъ, если на немъ представлены организации, имѣющія имѣть право болѣе чѣмъ на половину рѣшающихъ голосовъ.</p> <p style="margin: 0;">Примѣчаніе I. Въ случаѣ отказа П. К. созвать съездъ при требованіи бол. ктотъ, съездъ созывается Организационнымъ Комитетомъ, избраннымъ на конференціи представителей отъ возвоправима.</p>
---	--

რსდმპ წესდება მიღებული პარტიის III ყრილობის მიერ.  
1905 წ. ქართულ და რუსულ ენებზე






ი. ბ. სტალინი. გაკვირვებული უთანხმოებაზე. ბროშურა. 1905 წ.  
 ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.  
 ორი შეჯახება (9 იანვრის გამო) ბროშურა.  
 1906 წ. ქართულ და რუსულ ენებზე.  
 პროკლამაციები, ფურცლები, მოწოდებები (მონტაჟი)

	უკრაინულ ენაზე НА УКРАИНСКОМ ЯЗЫКЕ	რუსულ ენაზე НА РУССКОМ ЯЗЫКЕ	სომხურ ენაზე НА ԱՐՄԵՆՍԿՈՒ ՅԱԿԷ
პროკლამაციები ПРОКЛАМАЦИИ	104 600	56 590	50 100
გაზეთები ГАЗЕТЫ	9 500	4 200	4 200
ბროშურები БРОШУРЫ	24 225	9 900	10 400
<b>სულ ВСЕГО</b>	<b>138 325</b>	<b>70 690</b>	<b>64 700</b>






თბილისის არალეგალური სტამბის მეტეალყურების სქემა, შედგენილი თბილისის ობრანკის მიერ. ფოტობეჭი




თბილისის არალეგალური სტამბის დარბევა ჟანდარმერიის მიერ. 1906 წ. 28 (15) აპრილი. მხატვარი ი. ვეფხვაძე





„ღისახლისი“ ოთახი




მუშების ოთახი





სამზარეულო



სტამბა





ინტერნაციონალური საღამოს მონაწილეთა ჯგუფი



მოსწავლეთა მიღება ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციაში, ,





სამი თაობის შეხვედრა მუზეუმში



კარლ მარქსის შთამომავალი  
(შეილიშვილის შეილიშვი-  
ლი) ფრედერიკა ქენი  
ლონგე მარქსი  
წერს შთაბეჭდილებას





საზღვარგარეთელი სტუმრები სტამბაში



დამთვალეირებლები სტამბა-მუზეუმში



მელთაც იერიშზე მიჰყავდათ მასები კაპიტალიზმისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

დიდი მღელვარებით ათვალიერებ მინის ქვეშ სათუთად შენახულ უამთა სკლისაგან ფერდაკარგულ ფურცლებს. წითელ ყდაში, უბრალო, სადა შრიფტით დაბეჭდილია ლენინის ბროშურა „სოფლის დარიბებს“ ქართულ ენაზე..

პარტიული მუშაკები სტახანოველი-მუშები ეშვებიან სარდაფში...

ამ ყრუ იატაკქვეშეთში სძლევენ რა დაბრკოლებებს, აკეთებდნენ დიდ საქმეს. ათასობით ამრავლებდნენ ფურცლებს, რომლებიც მგზნებარე სიტყვებით მოუწოდებდნენ მშრომელებს რევოლუციური ბრძოლისაკენ<sup>1</sup>.

სალამოს 8 საათზე გაიხსნა მიტინგი. სტამბის როლისა და მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგემ ერ. ბედიამ. მოგონებებით გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკები გ. ლელაშვილი, ნ. ალაქალოვა. ლენინური კომკავშირის სახელით კი — 26 კომისრის სახელობის ალკკ რაიკომის მდივანი გრ. ჟორჯიკაშვილი.

აი, როგორ იგონებს სტამბა-მუშეუმის გახსნის ამ სახალხო დღესასწაულს ამჟამად პერსონალური პენსიონერი გრიგოლ ჟორჯიკაშვილი:

„ბედნიერება მქონდა, რომ 40 წლის წინათ მონაწილეობა მიმელო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავღაბრის არალეგალური სტამბის მემორიალური მუშეუმის გახსნაში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის, იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის.

გახსნას ესწრებოდა ძალიან ბევრი ხალხი, მათ შორის ბევრი იყო ახალგაზრდობა, ეზო და ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი, უკრავდა სასულე ორკესტრი, ახალგაზრდობა მღეროდა, ცეკვავდა და ხალხი მოუთმენლად ელოდა მიტინგის გახსნას და სტამბის დათვალიერებას. ყველას აინტერესებდა ენახა საქართველოს ბოლშევიკები როგორი თავგანწირვით იბრძოდნენ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, როგორ ახერხებდნენ იმ პირობებში ისე ძნელ და სარისკო საქმის გაკეთებას, როგორიც იყო არალეგალური გაზეთის გამოშვება, ვ. ი. ლენინის შრომების, რევოლუციური ფურცლებისა და პროკლამაციების ბეჭდვა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

მიტინგზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხანაგი ერიკ ბედია, სიტყვები წარმოთქვეს სველმა ბოლშევიკებმა, რომლებიც უშუალო მონაწილე-

<sup>1</sup> Газ. «Взря Востока», 21 августа 1937 года.



ობას დებულობდნენ არალეგალური სტამბის მუშაობაში: ნინა ალაჯალოვამ, ვიგო ლელაშვილმა და სხვებმა, მათ შორის ახალგაზრდობის სახელით სიტყვით გამოვედი ჩეც. მე ახალგაზრდობას მოვეუწოდებდი ისეთივე შეუპოვრობით და თავგანწირვით ებრძოლა და ეშრომა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, როგორც იბრძოდა ლენინის პარტია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მთელ რუსეთში, კერძოდ საქართველოში. ამოცანები დიდი იდგა ჩვენი სახელმწიფოს წინაშე ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობაში საკოლმეურნეო სისტემის საბოლოო გამარჯვების და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში“.

1937 წლის 22 აგვისტოს ჩვენი პარტიის სახელოვანი გაზეთი „პრავდა“ აღნიშნავდა, რომ თბილისის განაპირას ავლაბარში გაიხსნა ავლაბრის იატაკქვეშა რესტავრირებული სტამბა — ბოლშევიზმის გმირული ისტორიის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი.

22 აგვისტოს ახალმა მუზეუმმა ფართოდ გაუღო კარი დამთვალიერებლებს. პარტელები, რომლებმაც მუზეუმის დავთარში თავისი ორგანიზაციის სახელი ჩააწერინეს საქართველოს შესანიშნავი გაზეთის „კომუნისტის“ თანამშრომლები იყვნენ, შემდეგ კი — ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟისა და მაკარონის ფაბრიკების მუშა-მოსამსახურენი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ინდუსტრიული და რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტების, აგრეთვე, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, და სხვ. სტამბას ეწვივნენ რუსეთიდან, უკრაინიდან და სხვა რესპუბლიკებიდან. რიანანიდან იყვნენ რკინიგზის ტექნიკუმის, ხოლო ხარკოვიდან — ელექტროტექნიკუმის მოსწავლეები. გაჩნდა პირველი ჩანაწერი მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში. „1937 წ. 22 აგვისტოს დავათვალიერე ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბა, გმირული ბრძოლისა და შრომის სურათი, რომელსაც წაკითხვითა და ნალაპარაკევით ვიცნობდი, ცოცხლად და თვალნათლივ წარმომიდგა. ჩემის აზრით ეს ადგილი უნდა გადაიქცეს მასებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად“<sup>1</sup>: წერდა „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე ვ. ეგნატაშვილი.

მეორე დღეს დამთვალიერებლთა 24 ჯგუფი მიიღო ახალმა მუზეუმმა, მათ შორის იყვნენ: ამიერკავკასიის რკინიგზის სავაგონო დეპოს, საკონდიტრო

<sup>1</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი, ფონდი 8076, აღწ. 1, საქმე 17-ბ, ფურც. 1.



ფაბრიკის, ხე-ტყის დამამუშავებელ არტელ „პროგრესის“, ნავთლულის რკინიგზის სადგურის მუშა-მოსამსახურენი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები, სტუმრები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ბაქოდან, ერევნიდან და სხვა ქალაქებიდან. ხალხი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა. ისინი დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკთა მამაცურ არალეგალურ ბრძოლას თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. რევოლუციის ეს ძეგლი ხალხს მოუწოდებდა გმირული საქმეებისაკენ. „...სტამბის აღდგენა მეტად საჭირო და სასარგებლო იყო ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის, — წერდა ინდონეზიის კომუნისტთა დელეგაცია, — სტამბის გაცნობა ჩვენთვისაც ძალიან სასარგებლოა. აქ მივიღეთ ახალი გაკვეთილი, რომელსაც გამოვიყენებთ ინდონეზიის მშრომელთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის“.

ავლაბრის სტამბის გმირული ისტორიის, ლენინის იდეების პროპაგანდის მძლავრი კერის შესახებ დამთვალეირებლებს მოუთხრობდნენ ამ სახლის ყოფილი პატრონი დავით როსტომაშვილი, მუზეუმის პირველი გამგე ვალერიან ლეჟავა და მრავალი სხვა. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ძეგნიერი თანამშრომლები.

განსნისთანავე სახლ-მუზეუმმა დიდი ყურადღება მიიპყრო, მის სანახავად მოდიოდნენ მუშები, გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტები, მოსწავლეები, წითელი არმიის მეომრები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავზე, 1937 წელს გაწვეული წითელარმიელები აღნიშნავდნენ: „...დიდა ჩვენი სიხარულბ იმის გამო, რომ პარტიამ და ხელისუფლებამ აღადგინეს ბოლშევიკების ისტორიის ეს შესანიშნავი ძეგლი“<sup>1</sup>. თბილისის 24-ე სკოლის პიონერ-მოსწავლეები კი ფიცს დებდნენ: „...ვიძლევი პიონერულ სიტყვას — არ დავკარავთ დიდი ბელადის ამავს და გავხდებით საბჭოთა კავშირის სახელოვანი შვილები“<sup>2</sup>.

„სტამბის დათვალეირებამ ჩვენში დასტოვა უდიდესი შთაბეჭდილება, — წერდნენ თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კომკავშირელი მუშები, — რის შემდეგაც თვითეული ჩვენგანი უფრო მეტად ვიბრძოლებთ მარქს-ენგელს-ლენინის თეორიის დაუფლებისათვის და კიდევ მეტი ენერგიით დავი

<sup>1</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი, ფონდი 8076, აღწ. 1, საქ. 17-ბ, ფურც. 74.

<sup>2</sup> იქვე, ფურც. 75.



რახმებით საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ვიბრძობლებთ იმისათვის, რომ ფაბრიკის ყველა მუშა სტახანოველი გახდეს<sup>1</sup>.

მე-6 სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი კი აღტაცებას ასე გამოხატავენ: „...ვერ ავიწერთ ამ სიამოვნებასა და სიხარულს, გავეცანით იმ უდიდეს მუშაობას, რომლის ნაყოფით ჩვენ ვსარგებლობთ. ვაძლევთ სიტყვას კომუნისტურ პარტიას, ჩვენი ერთგული მუშაობით შევასრულებთ საწარმოო გეგმას, რითაც მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში“<sup>2</sup>.

მუზეუმი აღადგინოვანებდა ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებსა და მუშაკებს. 1937 წლის 6 ოქტომბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის თანამშრომლები სიყვარულით აღნიშნავენ, რომ სტამბა-მუზეუმი მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

დილიდან გვიან საღამომდე მუზეუმის წინ დამთვლიერებელთა რიგები იდგა, რაზედაც კარგად მეტყველებს იმ პერიოდის აღრიცხვის ყურნალი — 1937 წლის 22 აგვისტოდან დეკემბრის ბოლომდე მუზეუმი დაათვალიერა 46 097 კაცი (1 241 ჯგუფი) ეს რიცხვი ბევრ რამეზე მიუთითებდა. ამიტომ იყო, რომ 1938 წელს, გაითვალისწინეს ყოველივე ეს და მუზეუმს მთელი შტატი შეუქმნეს (ხუთი ექსკურსიაშიძლოლი — ლექტორი, მეთვალყურე და სხვ.).

დამთვალიერებელთა რაოდენობამ ძალზე იმატა, 1938 წ. სტამბა დაათვალიერა 144 256 კაცი (4 026 ჯგუფი), ხოლო 1939 წ. დამთვალიერებელთა რაოდენობამ — 170 049-ს მიაღწია. (ლექცია-საუბარი ჩაუტარდა 5 125 ჯგუფს).

სტამბა-მუზეუმის მოწყობასთან ერთად წარმოებდა აცლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბის ისტორიის შესწავლა. მის შესახებ პრესაში გამოქვეყნდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქარძველოს ფილიალის დირექტორის ერ. ზედიას, ძველი ბოლშევიკის ნ. ალაჯალოვას, სტამბა-მუზეუმის დირექტორის მ. ოშმაკაშვილის, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროს მეცნიერ თანამშრომლის ე. სტურუასა და სხვათა სტატიები.

ალსანიშნავია მ. ოშმაკაშვილის მუშაობა სტამბის ისტორიის ბეჭდვით

<sup>1</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი ფონდი 8076, აღწ. 1, საქ. 17-ბ, ფურც. 82.

<sup>2</sup> იქვე, ფურც. 39.



პრობავანდის საქმეში. მან გამოაქვეყნა რიგი სტატიები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. ამ სტატიებში გაშუქებულია სტამბის ისტორიული მნიშვნელობა.

1941 წელს საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ლიტგამოცემლობამ 4 000 ტირაჟით ბავშვებისათვის გამოსცა გ. ავასოვის ბროშურა „საიდუმლო ჭა“.

საქართველოს კვ ცვ-თან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკვ ცვ-თან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალმა 1954 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.). მასალებისა და დოკუმენტების კრებული“.

სტამბა-მუზეუმის ერთ-ერთმა პირველმა ლექტორმა ზ. გეგეშიძემ სტატიები და გამოკვლევები უძღვნა ავლაბრის არალეგალური სტამბის ისტორიას. გამოიცა მისი ბროშურა „ავლაბრის არალეგალური სტამბა 1903—1906 წწ. ისტორიული ნარკვევი“ (1954), ხოლო წიგნში „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბები 1900—1920 წწ.“ (1965), ეს საკითხი უფრო ვრცლად გააშუქა. შედგენილ იქნა სტამბა-მუზეუმის საინტერესო მეგზურები, რომლებს ავტორებია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზ. გეგეშიძე და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ცხვედიანი. 1964 წელს იგი გამოვიდა ქართულ ენაზე, 1965 წელს — რუსულ ენაზე, 1970 წელს კი — ქართულ, რუსულ ენებზე.

ხალხი აღიდებს და ეთაყვანება მათ, ვისაც არ ეშინოდა თვითმპყრობელობის კატორღებისა და სახრჩობელების, თავს სწირავდა ხალხის ბედნიერ მომავალს. ავლაბრის არალეგალურ სტამბელთა მამაცობა და თავგანწირული ბრძოლაც ლეგენდებად იქცა. ღრმა იატაკქვეშ მათი ვაჟაკური მუშაობა საბჭოთა კულტურის მოღვაწეებისათვის შთაგონების წყარო გახდა. ფუნჯისა და კალმის გამოჩენილმა ოსტატებმა ჩინებული ნაწარმოებები უძღვნეს მათ. ასე შეიქმნა საქართველოს სსრ სახალხო მხატვარ ივანე ვეფხვაძისა და სხვათა შესანიშნავი მხატვრული ტილოები.

ცნობილმა ქართველმა დრამატურგმა და პროზაიკოსმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი ნახუცრიშვილმა დაწერა პიესა „მუქი მიწიდან (ავლაბრის სტამბა)“, რომელიც სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრისა და გორის გ. ერისთავის სახელობის სა-

ტელმწიფო ოეატრის სცენაზე მრავალჯერ წარმოადგინეს. სტამბას მიუძღვნა შესანიშნავი ნაწარმოები მწერალმა ელიზბარ უბილაევამ.

სახელმოხვეჭილმა პოეტმა იოსებ ნონევილმა და სხვებმა პოეტური ქმნილებებით უკვდავყვეს იატაკქვეშეთა გმირობა.

1958 წელს ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმის შენობაში მოეწყო მემორიალური ოთახები, ექსპოზიცია გადატანილ იქნა მუზეუმის წინმდებარე დამხმარე შენობის ერთ ოთახში, მეორე კი მუზეუმის მუშაკებს დაეთმობოთ სამუშაო ოთახად.

მემორიალური ოთახები აღადგინეს 1903—1906 წლების მიხედვით. სტამბის „დიასახლისის“ ოთახის ფანჯრის ახლოს მარჯვენა კედელთან, დგას ქსოვილგადაკრული ხის ტახტი ორი მუთაქით, მის წინ დაფენილ ფარდაზე დგას სკამი, რომელზედაც ჯაჟია თითისტარიოა და მატყლით, ტახტის ერთ მხარეს კიდია პირსახოცი, მეორე მხარეს — „დიასახლისის“ პალტო. იქვე კედელთან ვენური სკამია, ხოლო კედლის კუთხეში კიდია ბზით მორთული ღვთისმშობლის ხატი. ქვემოთ დგას თეთრქსოვილგადაფარებული კარადა, რომელზედაც აწყვია ხის ჯამი, საშაქრე, სამარილე, სამოჯარი თავის დასადგენლით, ჩაიდნითა და სპილენძის ჯამით, აგრეთვე წყლის გრაფინი ჭიქით.

კარის პირდაპირ კედელთან მიდგმულია სუფრაგადაფარებული მაგიდა. რომელზედაც ორმავსკერიანი ყუთი და სარკე დგას. მაგიდის ორივე მხარეს ვენური სკამებია, მაგიდის ზემოთ, კედელთან კიდია ძველი კალენდარი სტამბის დარბევის თარიღით (1906 წლის 15 აპრილი). ამ კედლის მარცხენა კუთხეში ქსოვილგადაფარებული სკივრია. აქვე კედელთან დგას ტახტი, რომელზედაც ლოგინი აგია. აივანზე გასასვლელ კარებსა და ფანჯარას შუა კედელზე აღნიშნულია ადგილი, სადაც უწინ შპალერის ქვეშ ელექტროზარის ღილაკი იყო.

მეორე ოთახი, რომელსაც ორი ფანჯარა აქვს, მუშების საცხოვრებელი ბინა იყო. კარის მარჯვნივ კედელთან ტაბურეტზე დევს თეთრი მომინანქრებული ტაშტი, მის ზემოთ კედელზე ლურჯად შეღებილი ხელსაბანი და პირსახოცია. კარის პირდაპირ კედელთან კამოდია, რომელზედაც დგას ლამბა. შუა ოთახში სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე სურა და ჭიქაა. მაგიდის ირგვლივ ოთხი ტაბურეტი, კედელთან — სამი ლოგინიანი ტახტი.

საცხოვრებელი ოთახების ქვეშ — ნახევარსარდაფში სამზარეულოა. კარის პირდაპირ კედელთან ქურაა, რომელზედაც დგას თიხის ქვაბი ხის კოვზით. აქვეა აქანდაზი, ცოცხი... ქურასთან კედელზე თაროა, რომელზედაც



აწყვია სპილენძის ქვაბები, თიხის ქილები, კალათები. თაროზე ჩამოკიდებულია შამყური, ქაფქირი და ჩამჩა. მარცხენა კუთხეში ნახშირია აქანდაზით, მარჯვენაში — დოქი და პატარა ქვევრი. სამზარეულოს შუაში ხვრელია — სათადარიგო ჩასასვლელი სტამბაში, წინათ იგი გადახურული იყო ფიცრებით და ზედ მიწა ჰქონდა წაყრილი იატაკის ზედაპირამდე. სტამბის მუშები ან ხვრელით იშვიათად სარგებლობდნენ.

სამზარეულოს დერეფნის მარცხენა კუთხეში არის რკინის დახვეული კიბე, რომლითაც ჩავდივართ სარდაფში. იგი გააკეთეს სტამბის აღდგენის დროს დამთვალეიერებლებისათვის.

სარდაფში აღდგენილია სტამბა, შესასვლელის პირდაპირ კედელთან ცხრა სასტამბო უჯრაა (კასა), რომლებშიც ამჟამად შრიფტის იმიტაციაა, მათ ზემოთ სამი ნათურა ანთია. იქვეა თუნუქგადაკრული მაგიდა ტაბურეტით და ხის პატარა მაგიდა ორი ყუთით. მარჯვენა კუთხეში ხის კასრია, რომელშიაც დევს საბეჭდი მანქანისათვის ზეთი, საღებავები და სხვა, იქვეა მანქანის დასაზეთი, სანავთე, თუჯის ქვაბი საღებავით, ძველებური ფარანი, ვედრო და სხვა. მოპირდაპირე კედელთან დგას თუნუქგადაკრული მაგიდა, რომლის ახლოს — სარდაფის შუაში — აუგებულგის სისტემის საბეჭდი მანქანაა, ასეთივე მანქანა იდგა წინათ აქ, მხოლოდ სხვა წელს გამოშვებული. საბეჭდი მანქანის თავზე კიდია ფარანი ნათურით, ადრე აქ ნავთის ლამპა იყო, ასეთივე ლამპაა ჩამოკიდებული მის მოპირდაპირე კედელზეც.

სტამბას დატანებული აქვს ოთხი საპაერო ხვრელი, მეოთხე გამოყენებული იყო საკვამლე მილად, სადაც ამჟამადაც თუნუქის ღუმელი დგას. საბეჭდ მანქანასთან კედელზე ელექტროზარია, ხოლო მარჯვნივ, შუა კედელზე სტამბაში შესასვლელი გვირაბი.

მემორიალურმა ოთახებმა უფრო საინტერესო გახადა მუზეუმი, რადგან მას დაუბრუნდა 1903—1906 წლების სახე.

სწორედ ამის შესახებ წერდნენ ჯერ კიდევ 1937 წლის 28 აგვისტოს მუზეუმის პირველი დამთვალეიერებლები, თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის თანამშრომლები: „...სასურველი იქნებოდა, რომ პირველი ოთახი, რომელშიც ცხოვრობდა დიასახლისი მოწყობილ იქნას ისევე, როგორც იყო თავის დროზე“<sup>1</sup>.

ამაწვე მოითხოვდნენ ქუთაისის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების

<sup>1</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი, ფონდი 8076, აღწ. 1, საქ. 17-ბ, ფურც. 17.

სუმა-მოსამსახურეები 1938 წლის 12 ივლისს: „ამხანაგების თხოვნაა — წერდა მათი დავალებით დ. კუხიანიძე — პირველი ოთახი, რომელშიდაც ცხოვრობდა ქალი ლაშაძე კარგია მოეწყოს ისე, როგორც იმ პერიოდში იყო, ვინაიდან ეს მისცემდა მნახველს უკეთეს შთაბეჭდილებას“<sup>1</sup>.

მემორიალური სახლის პირდაპირ დამხმარე შენობაში ექსპოზიციის ოთახი იწყება მ. ბოჭორიძის ფოტოსურათით, ავლაბრის არალეგალური სტამბის ჭრილის სქემისა და დ. როსტომაშვილის მიერ იკარით აღებულ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი სახლის, ქალაქის გამგეობისაგან დამტკიცებული გეგმის ფოტოპირებით.

მეორე კედელზე თვალსაჩინო ადგილზეა ვ. ი. ლენინის დიდი ფოტოსურათი და რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრთა სურათები. აქვეა ავლაბრის არალეგალური სტამბის მშენებელთა, ასოთამწყობთა, მბეჭდავთა და „დიასახლისთა“ სურათები (ფოტომონტაჟები).

დამთვალეობებელთა დიდ ინტერესს იწვევს ვ. ი. ლენინის 1904 წლის 20 დეკემბრის წერილის „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი“ ავტოგრაფის ფოტოპირი. აქ რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე გამოცემული გაზეთებია გამოფენილი. „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი“ (№ 7, 1904 წ. 1(14) აპრილი), „ლისტოკ „ბორბი პროლეტარიატა“ (№ 7, 1904 წ. 1(14) აპრილი), (ფოტოპირები); „პროლეტარიატის ბრძოლა“ (№ 9, 1905 წ. 1(14) ივლისი). „ბორბა პროლეტარიატა“ (№ 2, 1905 წ. 15(28) ივლისი) ეგზემპლარები; ვაზეთის „პროლეტარიატი კრივ“ (№ 6, 1905 წ. 1(14) ივლისი) ფოტოპირი. აქვე ვკითხულობთ ვაზეთიდან „პროლეტარი“ (№ 2, 1905 წ. 16(3) აგვისტო) ამოწერილ სიტყვებს: „მხურვალედ მივესალმებით კავკასიის კავშირის საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებას და ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს“.

მესამე კედელზე ვ. ი. ლენინის ნაშრომები და ბროშურებია: „რევოლუციონური დემოკრატიული დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხკაცობისა“ (1905 წ.), „ცნობა მესამე კრებაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა“ (1905 წ.), „სოფლის გაჭირვებულ გლეხ-კაცობას“ (1905 წ., ვარეკანის ფოტოპირი), ფურცელი „სამი კონსტიტუცია, ანუ სამგვარი სახელმწიფო წესწყობილება“ (1905 წ. 25 ივლისი, დედნები), პარტიის III ყრილობის მიერ 1905 წ. მიღებული რსდმპ წესდების ფოტოპირები; ი. ბ. სტა-

<sup>1</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი, ფონდი 8076, აღწ. 1, საქ. 54, ფურც. 10.



ლინის ბროშურები: „გაკვერით პარტიულ უთანხმოებაზე“ (1905 წ.), „ორბე შეჯახება (9 იანვრის გამო)“ (1906 წ.), ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაცია „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!“ (1905 წ. 8 იანვარი, ფოტოპირი); სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურა 1905 წლის იანვრიდან 20 ნოემბრამდე — ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე: გაზეთები, ბროშურები, პროკლამაციები და სხვ., ბოლშევიკური ლიტერატურის გამავრცელებელთა ჯგუფის წევრების სურათები (ფოტომონტაჟი); პროკლამაცია „კავკასიის მუშებს. რა გამოირკვა?“ (1905 წ. 26 მარტი) და ციტატა ვ. ი. ლენინის 1905 წლის 26 ოქტომბრის წერილიდან: „პარტიის ხელმძღვანელობა მოძრაობის აქლანდელი ვიგანტური, უმაგალითო ზრდის დროს მხოლოდ პრესის საშუალებით შეიძლება“.

მეოთხე კედელზეა რსდმპ პროგრამა მიღებული პარტიის II ყრილობის მიერ, რომელიც დაიბეჭდა 1905 წელს; ავლაბრის არალეგალური სტამბის მეთვალყურეობის სქემა, შედგენილი მეფის ოხრანის მიერ (ფოტოპირი); ბროშურები „მელაქუდა მქადაგებელი და სიმართლე“ (1903 წ.), „ანბანი მუშათათვის“ (1904 წ.), „პირველი მაისი“ (1904 წ.), კრებული „საპირველმაისოდ“ (1905 წ.); პროკლამაცია „თბილისის შეერთებულ მუშებს“ (1905 წ.) გაზეთი „კავკასსკი რაბოჩი ლისტოკი“ — რსდმპ კავკასიის კავშირის ლეგალური ორგანო № 1, 1905 წ. 20 ნოემბერი; ციტატა ვ. ი. ლენინის სტატიიდან „დასასრულის შოახლოება“: „მთავრობამ დაიწყო დათმობა სიტყვით და მაშინვე შეტევის მომზადებას შეუდგა საქმით“; „ავლაბრის არალეგალური სტამბის დარბევა ყანდარმერიის მიერ 1906 წ. 28 (15) აპრილს (ი. ვეფხვაძის მხატვრული სურათის ფოტო); სტამბის ხედი დარბევის შემდეგ (ფოტო); კავკასიის პოლიციის გამგებლის 1906 წლის 15 აპრილის პატაკი შინაგან საქმეთა მინისტრს ავლაბრის არალეგალური სტამბის გაჩხრევის შედეგების შესახებ (ფოტოპირი); ამონაწერები თბილისის სასამართლო პალატის 1907 წლის 7 მაისის საბრალდებო აქტიდან ავლაბრის არალეგალური სტამბის საქმის გამო (ფოტოპირი) და ამონაწერები თბილისის სასამართლო პალატის 1907 წ. 21—24 დეკემბრის განაჩენიდან ავლაბრის არალეგალური სტამბის საქმის გამო (ფოტოპირი).

თავისი არსებობის 40 წლის მანძილზე მუზეუმმა მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიადი თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღ-

წილი ავლაბრის არალეგალური სტამბის შესახებ არსებული ლიტერატურის გამოფენა. იმ წელს მუზეუმს 161 168 დამთვალეობები ესტუმრა.

მუზეუმის შექმნის 30 წლისთავის აღსანიშნავად რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში მრავალი წერილი დაიბეჭდა. მოეწყო რადიოგადაცემები. საინტერესო ღონისძიება ჩატარდა 1967 წლის 20 აგვისტოს: საქართველოს ტელევიზიამ მუზეუმიდან მოაწყო ტელეგადაცემა რესპუბლიკის მშრომელებისათვის, 24 აგვისტოს კი ინტერვიუთი მოეწყო რეპორტაჟი „რევოლუციური მოვლენების ნაკვალევზე“.

უმარავი ხალხი ესტუმრა სტამბა-მუზეუმს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის საზეიმო დღეებში. მას ეწვივნენ საქართველოს რაიონების მშრომელები, რომლებიც თბილისში ჩამოიყვანა ტურისტულმა მატარებელმა „შოთა რუსთაველმა“. იგი ინახულეს აგრეთვე ტურისტებმა მოკავშირე რესპუბლიკებიდან, ჩვენი დიადი ქვეყნის მთელი რიგი ქალაქებიდან, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ ტურისტული მარშრუტებით და „მეგობრობის“ მატარებლებით. იყვნენ სტუმრები საზღვარგარეთის სახელმწიფოებიდან: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, ალჟირიდან, კონგოდან, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან, სუდანიდან, ინგლისიდან, ბელგიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, მალაგამის რესპუბლიკიდან, ლათინური ამერიკიდან... საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სტამბა ინახულეს ცნობილმა პოლიტიკურმა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, მეცნიერებმა, მწერლებმა, ჟურნალისტებმა, კომპოზიტორებმა.

მუზეუმის საპატიო სტუმრები იყვნენ კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი. მარტო 1969 წელს მას ეწვივნენ: ლათინური ამერიკის ქვეყნებისა და არაბული სახელმწიფოების კომუნისტები, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის აქტივისტები ჟანეტ პრენის ხელმძღვანელობით, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის მუშაკები, კანადის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ტიმ ბაკი, პარიზიდან კარლ მარქსის შვილთაშვილი რობერ ჟან ლონგე.

მოსწავლეთა ზანთრის არდადეგების დროს სტამბა-მუზეუმის ხშირი სტუმრები არიან მოსწავლეები, რომლებიც ჩამოდიან თბილისში როგორც საქართველოს სსრ, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან და ქალაქებიდან ტურისტული მატარებლებით. ზაფხულის პერიოდში კი მუზეუმის კოლექტივს მკვიდრო ურთიერთობა აქვს თბილისის პიონერთა ბანაკებთან, მათთან შეთანხმე-



ბის შედეგად ორგანიზებულად მოჰყავთ პიონერები; მარტო ერთ დღეს -- 1969 წლის 2 ივლისს თბილისის პიონერთა სასახლესთან არსებული პიონერთა ბანაკის 300-ზე მეტმა ბავშვმა დაათვალიერა სტამბა.

საინტერესო ღონისძიებებს ატარებს მუზეუმი 1967 წლიდან სხვადასხვა რაიონის კომკავშირულ კომიტეტებთან ერთად. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომკავშირის ბილეთების გადაცემა ალკ რიგებში ახლად მიღებულათაგან. ახალგაზრდობის აქტივის შეხვედრა რევოლუციის ვეტერანებთან, ძველ ბოლშევიკებთან.

მუზეუმი პერიოდულად აწყობს მოსწავლეთა მიღებას ოქტომბრელთა და ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რიგებში. 1969 წლის 22 აპრილს დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 99 წლისთავთან დაკავშირებით პიონერთა რიგებში საზეიმო ვითარებაში მიიღეს 77-ე, 92-ე და 117-ე საშუალო სკოლის 270 მოსწავლე. ასეთი ღონისძიება სისტემატურად ტარდება, მაგალითად, 1970 წლის 19 მაისს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეს საზეიმო ვითარებაში მიღებულ იქნა 117-ე საშუალო სკოლის 200-ზე მეტი მოსწავლე. პიონერთა რიგებში მიღების შემდეგ მოსწავლეები წარმოდგენენ ხოლმე მხატვრულ მონტაჟს, ჯიხტულობენ ლექსებს გენიალურ ვ. ი. ლენინზე, დიად კომუნისტურ პარტიასზე, სამშობლოზე, კომკავშირზე, პიონერიაზე, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობაზე და სხვ.

მუზეუმის თანამშრომლები კონსულტაციებით და ახსნა-განმარტებებით სისტემატურად ეხმარებიან ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, საშუალო სპეციალური, პროფტექნიკური სასწავლებლებისა და საშუალო სკოლის მოსწავლეებს, საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ავღაბრის არალეგალური სტამბის ისტორიით და გვთხოვენ მასალებს მის შესახებ. გარდა ამისა, ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში იგზავნება სტამბა-მუზეუმის მეგზურები, ფოტოსურათები, სტამბის შესახებ არსებული ლიტერატურა და სხვა მასალები. ასეთი დახმარება გაეწია მაგალითად, ტამბოვის მე-12 საშუალო სკოლისა და ბელგოროდის ინტერნატის კომკავშირელებს, ქ. რილსკის პიონერთა სახლის ნორჩ მემატიანეებს, ტუვის ასსრ პიი-ხემსკის რაიონის სოფელ უიუკის რვაწლიანი სკოლისა და ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ქ. პროხლადნის მე-6 საშუალო სკოლის პიონერებს, ქ. ზაპოროჟიეს 87-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ყაზანისა და ივანოვოს სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტებს, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის კიევის ფილიალის ლექტორებს და სხვ.

მუზეუმში მეთოდური მუშაობაც წარმოებს. ავლაბრის არალეგალური სტამბის ისტორიის შესახებ ლექციის მაღალ დონეზე წაკითხვისათვის კონსულტაციებსა და საჩვენებელ ლექციებს ვუტარებთ და მეთოდურ დახმარებას ვუწევთ თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს ახალ ექსკურსიამბილოლებს, რომლებიც ესაუბრებიან ტურისტებს სტამბა-მუზეუმის შესახებ, მაგრამ ჩვენ არა მარტო ასლებს ვეჩმარებთ, არამედ პერიოდულად ვუსმენთ ძველ ექსკურსიამბილოლებსაც, ვაძლევთ შენიშვნებს, ვუთითებთ შეცდომებზე და ვურჩევთ, ვასწავლით, თუ როგორ ჩაატარონ ლექცია-საუბარი მაღალ დონეზე, საინტერესოდ.

1967 წლიდან დაიწყო დამთვალეირებელთა მოზიდვის დაგეგმვა, რაც ადვილებს დამთვალეირებლების მაღალ დონეზე მომსახურებას. დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე ინდივიდუალურ მომსვლელებს, რომლებიც ყოველთვის იღებენ სათანადო ახსნა-განმარტებებს სტამბის გმირული ისტორიის შესახებ.

აღსანიშნავია 1969 წლის 21 ნოემბერს ჩატარებული ღონისძიებაც, იმ წელს რიგით მეასიათასე დამთვალეირებელს, თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგეს, ექიმ ა. მიქაძეს, რომელმაც ექსკურსიაზე მოსწავლეები მოიყვანა, გადაეცით ვ. ი. ლენინის თხზულებათა ის ტომი, სადაც მოთავსებულია ბელადის უკვდავი ნაწარმოებები დაბეჭდილი ავლაბრის არალეგალურ სტამბაში 1905—1906 წლებში ცალკე წიგნებად და ბროშურებად.

მშრომელი ხალხის დიდი ბელადის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საზეიმო დღეებში მუზეუმთან შეიქმნა „ლენინური ლექტორიუმი“. მასში გაერთიანებული იყვნენ 26 კომისრის რაიონის ერთ-ერთი მიკრორაიონის მოზინადრენი, რომლებიც სწავლობდნენ ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ზეიმის წინა დღეს, 1970 წლის 21 აპრილს, პირველად მოეწყო მუზეუმისათვის მიძღვნილი საჩუქრების გამოცენა. 22 აპრილს, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღეს, სტამბას სამახსოვრო სუვენირები მოართვეს მოსწავლეებმა, სტუდენტებმა, მუშა-მოსამსახურეებმა, ძველმა ბოლშევიკებმა და სხვ. იმავე დღეს მოეწყო მუზეუმში მოსულ დამთვალეირებელთა შეხვედრა ძველ ბოლშევიკებთან, ჩატარდა აგრეთვე სხვა მრავალი ღონისძიება.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მუზეუმე-



ბის საკავშირო დათვალეობაში აქტიური მონაწილეობისათვის სტამბა-მუ-  
ზეუმი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დიპლომებით დააჯილ-  
დოვა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელოვან რევოლუციურ  
ტრადიციებზე, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პარტი-  
ოტიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდაში ნაყოფიერი მუშაობისათვის,  
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის კო-  
მიტეტის ავღაბრის არალეგალური სტამბის შექმნის სამოცდაათ წლისთევთან  
დაკავშირებით, ავღაბრის არალეგალური სტამბის მემორიალური მუზეუმი  
1974 წლის 22 მარტს დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

რსდმპ კავკასიის კავშირის 70 წლისთავს და ავღაბრის სტამბის იუბი-  
ლეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსე-  
ბულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან  
არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალმა და ვ. ი. ლენინის  
ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალმა მიუძღვნა სამეცნიერო სესია. წა-  
კითხულ იქნა მოხსენებები „რსდმპ კავკასიის კავშირის როლი ახალი ტიპის  
პარტიისათვის ბრძოლაში“, „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავღაბ-  
რის არალეგალური სტამბის“ შესახებ და ა. შ.

სტამბის შექმნის 70 წლისთავი მუზეუმის კოლექტივს მიულოცა მრავალ-  
მა მუზეუმმა, მათ შორის ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის კოლექტი-  
ვის სახელით დირექტორმა თ. კრივოშენინამ, გორის ი. ბ. სტალინის სახლ-  
მუზეუმის კოლექტივმა და სხვებმა.

მუზეუმში ახალგაზრდობის კომუნისტური და ინტერნაციონალური სუ-  
ლისკვეთებით აღზრდისათვის ეწყობა პიონერული დილები, მეგობრობის სა-  
ღამოები, მოსწავლეთა შეხვედრები — მოძმე ერების წარმომადგენლებთან,  
სამამულო ომის მონაწილეებთან, წარმოების ნოვატორებთან და სხვა. ტარ-  
დება სამი თაობის წარმომადგენელთა შეხვედრები. აღსანიშნავია 1973 წლის  
ივლისში რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს  
კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისიის რაიკომის,  
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალისა და გაზეთ „ვე-  
ჩერნი ტბილისის“ რედაქციის მიერ ჩატარებული თაობათა შეხვედრა.

პარტიის II ყრილობას მიეძღვნა აგრეთვე საქართველოს კპ თბილისის 26  
კომისიის რაიონულ კომიტეტთან და საზოგადოება „ცოდნასთან“ ერთად ჩა-  
ტარებული თეორიული კონფერენცია.

1975 წელს ჩატარებული ღონისძიებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავისა და 1905—1907 წლების რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

დიდი სამამულო ომის ძღვევამოსილად დამთავრების 30 წლისთავთან დაკავშირებით სტამბა-მუზეუმს ესტუმრა საზეიმო შეკრების 400-მდე ომის ვეტერანი და კომკავშირული აქტივისტი. ჩატარდა მიტინგი, ზოლო შემდეგ შეკრების მონაწილენი გაემართნენ წითელი ზიდისაკენ ამიერკავკასიის მოძვე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან შესახვედრად.

გერმანიის ფაშისმზე გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად, მოსწავლე ახალგაზრდობის საშხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის თვალსაზრისით 56-ე არმიის თბილისის ვეტერანთა სექციასთან და 72-ე საშუალო სკოლასთან ერთად მოეწყო პიონერთა და მოსწავლეთა საზეიმო შეხვედრა 56-ე არმიის ვეტერანებთან. საზეიმო შეხვედრაზე მოვონებებით გამოვიდნენ ომგდახდილი მეომრები: მოსკოვიდან, თბილისიდან, ლენინგრადიდან, ერევნიდან, როსტოვიდან... ომის ვეტერანებს მიესალმნენ კომკავშირელები, პიონერები და სხვ. შეხვედრის დასასრულს მოსწავლეებმა წარმომადგინეს მონტაჟი „მშვიდობა მსოფლიოს“. საზეიმო შეხვედრის მონაწილეებმა ვვირგვინებით და ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი და უტნობი ჯარისკაცის საფლავი.

1905—1907 წლების რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის მე-10 საშუალო სკოლასთან ერთად მუზეუმში ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია. იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა აგრეთვე თბილისის 47-ე საშუალო სკოლისა და სტამბა-მუზეუმის ერთობლივი ღონისძიება — ამავე სკოლის პიონერთა საზეიმო შეკრება, სადაც წაკითხულ იქნა მოხსენებები: „რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუცია“, „საქართველო 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში“, „რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა“ და სხვ. გარდა მოსწავლეებისა, სიტყვებით გამოვიდნენ მასწავლებლებიც.

1905—1907 წლების რევოლუციის დიდ იუბილეს კიდევ ერთი კარგი ღონისძიება მიეძღვნა: საქართველოს კბ თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფთან ერთად შეიქმნა ლექტორიუმი თბილისის აქტივისათვის (ლექტორების, პრობაგანდისტების, აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორებისათვის),



ლექტორიუმის მეცადინეობა ტარდებოდა თბილისის თითოეული რაიონის აქტივისათვის ცალ-ცალკე, ლექციებს კითხულობდნენ რესპუბლიკის ცნობილი მეცნიერები, მოგონებებით გამოდიოდნენ ძველი ბოლშევიკები, პროპაგანდისტები, აგიტატორები და სხვები.

ახალი ნიშუმის კომკავშირული ბილეტების გამოცვლასთან დაკავშირებით, მუზეუმში საზეიმო ვითარებაში გადაეცათ კომკავშირული ბილეტები 26 კომისრის რაიონის მოწინავე კომკავშირელებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს: კერამიკული კომბინატის, ფესხაცმელების გაერთიანება „ისანისა“ და სხვა წარმოების მუშებს.

1976 წელსაც კვლავ განაგრძობდა მუშაობას საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფთან ერთად ჩამოყალიბებული ლექტორიუმი მიძღვნილი 1905—1907 წლების რევოლუციის იუბილესადმი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ლექტორიუმის მეცადინეობები ტარდებოდა თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში და მასში ლექცია-მოხსენებებით გამოდიოდნენ მუზეუმის თანამშრომლები.

ჩვენი დიადი პარტიის XXV ყრილობას მიეძღვნა საინტერესო ღონისძიება — „ლექტორის დღეები“. ორშაბათობით სტამბა-მუზეუმის დასვენების დღეებში — მუზეუმის მუშაკები, როგორც თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში და დაწესებულებებში, ასევე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში ატარებდნენ „ლექტორის დღეებს“. იგი ჩატარდა თბილისის ტრიკოტაჟის №1 ფაბრიკაში, ტყავ-ვალანტერიის კომბინატში და სხვ.

სტამბა-მუზეუმის არსებობის 40 წლის მანძილზე მუზეუმის ლექტორები ლექციებით პირველად ვეწვიეთ სხვა რაიონებს. „ლექტორის დღე“ ჩატარდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, შემდეგ მცხეთის რაიონის ნატანტარის მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობაში, კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობასა და სამთავისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში.

1976 წელს ჩატარებული მრავალი ღონისძიებიდან აღსანიშნავია აგრეთვე „ლექციების კვირეული“, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დარგის მუშაკების დღესასწაულებისადმი. მედიცინის, ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღეებისა და სხვა დღეებთან დაკავშირებითელი კვირის განმავლობაში ამ დარგის მუშაკებთან ტარდებოდა ლექცია-საუბრები სკკპ XXV ყრილობის მასალების, სკკპ ცკ-ის ივნისის დადგენილებისა და სტამბის ისტორიის შესახებ.

ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიება ტარდებოდა დამთვალეირებელთა მოზიდვის მიზნით და მართლაც ფაბრიკა-ქარხნებიდან, დაწესებულებებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან მრავალი ასეული მშრომელი ორგანიზებულად მოვიდა მუზეუმის დასათვალეირებლად.

მუზეუმის კოლექტივმა უკვე დაიწყო მზადება გმირი საბჭოთა ხალხისა და მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის ბრწყინვალე იუბილეს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლის ღირსეულად შეხვედრისათვის.

უამრავი ღონისძიებიდან, რომლებიც ამ დიად თარიღს ეძღვნება, ზოგიერთი უკვე განვახორციელეთ. მიზნად გვქონდა დასახული ჩვენი ქვეყნისა და ერის დღესასწაულების (25 თებერვალი, 8 მარტი, 1—2 მაისი, 9 მაისი, 7—8 ნოემბერი, 5 დეკემბერი და სხვ.) წინა დღეებში სტამბა-მუზეუმში, რომელიც მშრომელთა კომუნისტური და ინტერნაციონალური აღზრდის შესანიშნავი კერაა, მოგვეწვია და დამთვალეირებლებთან (რომელთა რაოდენობა ამ დღეებში ძალზე დიდია), შეგვეხვედრებინა რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები: იველი ბოლშევიკები, შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, რომლებიც მოუთხრობდნენ მათ თავიანთი მამაცური რევოლუციური მოღვაწეობის, დიდ სამამულო ომში გმირობისა და მშვიდობიანობის დროს შრომითი დიდების გზის შესახებ.

25 თებერვალს, ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 56-ე წლისთავის წინა დღეებში, სტამბა-მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდა ძველი ბოლშევიკი, სკკპ წევრი 1917 წლიდან, ჭიათურის არალეგალური სტამბის ყოფილი ასოთამწყოები, სკკპ ვეტერანთა თბილისის საბჭოს თავმჯდომარე დავით ლომაძე, რომელიც შეხვდა და ესაუბრა რევოლუციური ტრადიციების მქონე თბილისის ლენინის რაიონის პიონერებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას და დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს.

მუზეუმს ამშვენებს ჩვენი დიადი პარტიის XXV ყრილობისადმი მიძღვნილი საგანგებო სტენდი და მთელი რიგი პლაკატები. სტენდი ეძღვნება დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავსაც, სადაც ექსპონირებულია სკკპ ცკ-ის 51 იანვრის დადგენილება დიადი იუბილეს შესახებ, ასევე გამოფენილია რიგი საინტერესო მასალებისა ამ დიდ დღესასწაულთან დაკავშირებით. იმ დღეებში ათასობით დამთვალეირებელი ესტუმრა სტამბა-მუზეუმს.



ასევე საინტერესო იყო ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის წინა დღე-ებში მსუბუქი მრეწველობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, მაუდ-კამეოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ი. გაგარინის სახელობის მრთველთა ახალგაზრდული კომკავშირული ბრიგადის ქვეოსტატის, სკკპ XXIV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობათა დელეგატის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სოციალისტური შრომის გმირის ვერა ქემაშვილის საუბრები თავისი შრომითი საქმიანობისა და წარმატებების შესახებ მუზეუმში მოსულ დამთვალიერებლებთან.

გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მუზეუმის დამთვალიერებლებს შეხვდა და ესაუბრა საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ნანეიშვილი.

ჩვენი ქვეყნის დიად თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს მიძღვნა აგრეთვე მრავალი პიონერული დილა, შეხვედრა, „ლექტორის დღე“, პიონერთა და მოსწავლეთა სახეიმო შეკრება და სხვ. აქედან აღსანიშნავია მცხეთის რაიონის გლდანის საშუალო სკოლის V კლასის პიონერების სახეიმო შეკრება თემაზე: „ჩვენ ოქტომბრის შვილები ვართ“. თბილისის 132-ე საშუალო სკოლის პიონერების „გმირ წინაპართა ნაკვალევზე“, გარდაბნის რაიონის სოფელ ახალი სამგორის მოსწავლეების „მოგზაურობა დიდების გზით“, თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის დოსაფის საბჭოს მიერ მოწყობილი სამოქალაქო ლაშქრობა დევიზით — „საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში“, შეხვედრა საქართველოს კომკავშირის აქტივთან — შრომის ახალგაზრდული დღესასწაულის მონაწილეებთან და მოძმე დედაქალაქების ბაქოს, ერევნისა და თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონების მშრომელთა წარმომადგენლებთან, რომელთა სოციალისტური შეჯიბრებაც ინტერნაციონალიზმის ნამდვილ სკოლად გადაიქცა, მათი შეხვედრის დევიზი იყო „ჩვენ ამ მეგობრობის ერთგული ვართ“. განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრა ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებთან, რომლებმაც შექმნეს მხატვრული ნაწარმოებები ავლაბრის არალეგალურ სტამბაზე. გამოჩენილ მწერალთან და დრამატურგთან საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესთან გიორგი ნახუცრიშვილთან, ავტორთან პიესისა „შუქი მიწიდან (ავლაბრის სტამბა)“ და ცნობილ პოეტთან და საზოგადო მოღვაწესთან, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის



მდივანთან, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის  
ლავმჯდომარესთან იოსებ ნონევილთან.

1977 წელს მუზეუმის კოლექტივი კიდევ ერთ შესანიშნავ იუბილეს  
იღვასაწაულებს — 20 აგვისტოს სტამბა-მუზეუმის გახსნის 40 წლისთავია.  
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება  
ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმის შექმნის 40 წლისთავის საზე-  
იმოდ აღნიშვნის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ-  
ეს თარიღი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-  
პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, დიდი მნიშვნელობა აქვს იდე-  
ოლოგიური მუშაობის გაძლიერებაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში  
და გაითვალისწინა რა სტამბა-მუზეუმის მზარდი მნიშვნელობა დიდი ოქ-  
ტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის მზადების  
პერიოდში, დაავალა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომი-  
ტეტს, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალს აღნიშ-  
ნონ სტამბა-მუზეუმის 40 წლისთავი, როგორც ერთ-ერთი დიდმნიშვნელო-  
ვანი ღონისძიება ჩვენი ქვეყნისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის  
ცხოვრებაში დიდი ღვასაწაულისათვის მზადების მსვლელობაში საბჭოთა  
ხალხის თაობათა ერთიანობის, მშრომელთა სახელოვანი რევოლუციური  
საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი ერთგულების, ლენინის დი-  
დი ანდერძისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებისადმი ერთგულე-  
ბის ნიშნით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი შეფასება  
ძისცა მუზეუმის მუშაობას: „მუზეუმი გახდა მნიშვნელოვანი კერა ახალგა-  
ზრდობის აღზრდისათვის საბჭოთა ხალხის სახელოვან რევოლუციურ ტრა-  
დიციებზე, რევოლუციონერ-ლენინელთა მაგალითზე, რომლებმაც საუკუნის  
დამდეგს შექმნეს მძლავრი პოლიგრაფიული ბაზა ვ. ი. ლენინის შრომების,  
არალეგალური გაზეთების, რევოლუციური ფურცლებისა და პროკლამაცი-  
ების ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე დასაბეჭდად. მუზეუმი დიდ მუშა-  
ობას ეწევა საქართველოს მშრომელთა და მთელი საბჭოთა ხალხის მიღწე-  
ვების პროპაგანდისათვის კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად ბრძო-  
ლაში. კარგი ტრადიცია გახდა აქ შეზვედრების მოწყობა ძველ ბოლშევიკებ-  
თან, საქართველოში რევოლუციური მოძრაობის, სამოქალაქო ომისა და დი-  
დი სამამულო ომის მონაწილეებთან, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხო-







ტარეს მეგობარი მუზეუმის მეცნიერ მუშაკებსა და ლექტორ-ექსკურსიამძღოლებს. იგი ჩატარდა გორის ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში, აგრეთვე ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში არსებულ ავლაბრის არალეგალური სტამბის მაკეტთან. კვლავ მრავალი ღონისძიებით და კარგი მუშაობით უპასუხებს სტამბა-მუზეუმის კოლექტივი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ უმნიშვნელოვანეს დადგენილებას.

ავლაბრის არალეგალურ სტამბა-მუზეუმს, როგორც უკვე იყო აღნიშნული, მეგობრობა აქვს მთელ რიგ მუზეუმებთან, აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია ამიერკავკასიაში არალეგალური სტამბების ფუძემდებლის ლადო კეცხოველის ტყვიავის სახლ-მუზეუმი, ბაქოს არალეგალური სტამბა-მუზეუმი „ნინა“, გორის ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი და სხვ.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის მიზნით განხორციელებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია მოსწავლეთა შეხვედრა თბილისის ზრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან — ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის წარმომადგენლებთან და სხვებთან. ამავე უნივერსიტეტის ასპირანტთან (ამჟამად ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატთან) ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენელ ნგუენ ხაკ ფუკთან და მის მეუღლესთან, მოსკოვის კვების მრეწველობის ინსტიტუტის ასპირანტ ლან დაო ტულთან.

სტამბა-მუზეუმში განსაკუთრებული ხალხმრავლობაა სადღესასწაულო დღეებში. ეს გასაგებიცაა. აქ შეხვედრებით ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშრომელებსა და კაპიტალისტური სახელმწიფოებიდან ჩამოსულ სტუმრებს.

გარდა ამისა, ასიათასობით მნახველი ჰყავს ავლაბრის არალეგალური სტამბის მაკეტებს, რომლებიც ამშვენებს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალების და სხვა მუზეუმის ექსპოზიციებს.

უკანასკნელ წლებში დამთვალეირებელთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. დღემდე სტამბა 4 მილიონამდე კაცმა დაათვალიერა. სახლ-მუზეუმი ტურისტულ მარშრუტებშია ჩასმული და ყველა საბჭოთა და უცხოელი ტურისტი ათვალიერებს მას.

მუზეუმის საპატიო სტუმრები ყოველთვის იყვნენ და არიან ჩვენი ქვეყნის ცნობილი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეები მიხეილ ივანეს ძე კლინინი და კლიმენტი ეფრემის ძე ვოროშილოვი, ამიერკავკასიის სფსრ ცაკ-ის



თავმჯდომარე, საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირები, ლენინური და სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი.

სტამბა-მუხეუმი ინახულეს არქტიკის გამოჩენილმა მეცლევარმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ი. პაპანინმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, ავიაციის გენერალ-მაიორმა მ. ვოდოპიანოვმა, ცნობილმა ნოვატორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ალექსი სტახანოვმა, სახელგანთქმულმა ავიოკონსტრუქტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სახელმწიფო პრემიის მრავალჯგის ლაურეატმა ა. იაკოვლევმა, თვალსაჩინო საბჭოთა დრამატურგმა და საზოგადო მოღვაწემ, აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა, „ხალხთა შორის შვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა ალექსანდრე კორნეიჩუკმა, ზელორუსიის სახალხო პოეტმა-აკადემიკოსმა იანკა კუპალამ, საბჭოთა მწერალმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ლეონიდ სობოლევმა და მრავალმა სხვამ.

სტამბა-მუხეუმიში სწავლასწავა დროს ყოფილან საზღვარგარეთის ცნობილი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი. მუხეუმის საპატიო სტუმრები იყვნენ კომუნისტური და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი: ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიორგი დიმიტროვი, ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი, ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ზოსე დიასი, უნგრეთის, ინდოეთის, პოლანდიის კომუნისტური პარტიების გენერალური მდივნები, კომინტერნის მოღვაწენი, გდრ-ის მთავრობის თავმჯდომარე ოტო გროტეველი, ინდოეთის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ინდირა განდი (ყოფილი პრემიერ-მინისტრი), ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის თუ კონგოს (ბრაზავილი) მთავრობის დელეგაციები, მთელი რიგი სახელმწიფოების კომუნისტური პარტიების პოლიტიბუროსა და ცენტრალური კომიტეტების წევრები, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მრავალი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლები, მინისტრები. პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, ჩინეთის, ინდოეთისა და ინგლისის ელჩები, ევროპის სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბ-



ჭოსა და „საბჭოთა კავშირ-ბელგიის“, „საბჭოთა კავშირ-ბოლივიისა“ და სხვა ქვეყნების მეგობრობის საზოგადოების წევრები. კოლუმბიის, ჰარვარდის (აშშ), პრალისა და სხვა უნივერსიტეტების პროფესორები, მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწენი, ჟურნალისტები — კუბიდან, ვიეტნამიდან, ჩინეთიდან, კორეიდან, მექსიკიდან, ახალი ზელანდიიდან და სხვა სახელმწიფოებიდან.

თუ თავის არსებობის პერიოდში პარტიის ეს უნიკალური პოლიგრაფიული ბაზა დიდ როლს ასრულებდა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების გავრცელებაში, შემდეგ იგი იქცა მემორიალურ მუზეუმად, ანუ ამავე იდეების პროპაგანდის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ კერად.

სტამბის გვირგული წარსული ხალხს შთააგონებდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას, თავდადებულ შრომას, სოციალიზმის შენებას. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დროს კი, როდესაც ფაშისტური გერმანია მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას და ყველა, როგორც ერთი კაცი, აღსდგა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, ეს შესანიშნავი ისტორიულ-რევოლუციური ძეგლი ხალხს მოუწოდებდა საგმირო საქმეებისაკენ.

ომის პერიოდის შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა მეომრების ჩანაწერებით. წერდნენ სამხედრო სკოლის მსმენელები და სამხედრო მოსამსახურენი, ყოფილი პარტიზანები, ომის ინვალიდები, მუშები, გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა, დიასახლისები და სხვ. ეს შთაბეჭდილებები გამსჭვალულია მტრისადმი უსახდგრო სიძულვილით და მასზე გამარჯვების უდიდესი რწმენით. „...ჩვენ სსრ კავშირის ხალხებთან ერთად ვიბრძოლებთ საბოლოო გამარჯვებისათვის, ფაშისმის სრული განადგურებისათვის“; — წერდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის I ასეულის II ოცეულის კურსანტების სახელით შ. ს. თვალტრელიძე 1941 წლის 5 ნოემბერს. იწერებოდა რევოლუციონერების თავგანწირულ ბრძოლებზე, მათ შემართებასა და საგმირო საქმეებზე, რომ სტამბა უკვდავი ძეგლია ამიერკავკასიის რევოლუციონერთა, რომლებიც სიცოცხლეს სწირავდნენ ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლას. ისინი ფიცს დებენ, რომ იქნებიან მამა-პაპათა ღირსეული მემკვიდრენი, ააშენებენ კომუნიზმს.

„კომკავშირის დელეგაციის წევრებმა ლენინგრადიდან დიდი მღელვარებით დავათვალიერეთ მუზეუმი. აქ, ამ კედლებში ტარდებოდა მძიმე მუშაობა

<sup>1</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი, ფონდი 8076, აღწ. 1, საქ. 311, ფურც. 49.



ჩვენს ღღევანდელი ზედნიერებისათვის. ძალიან სასიამოვნოა, რომ ასეთი ყუ-  
რადღებით და სიფრთხილით ინახება ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია ამ  
წმინდა ბრძოლასთან“.

„ავლაბრის სტამბა-მუზეუმის დათვალიერება სამუდამოდ დარჩება პოლო-  
ნელი მწერლების ხსოვნაში... ავლაბრის სტამბის ისტორია ჩვენთვის წარ-  
მოადგენს დიდებულ თემას, მიძღვნილს იმ გმირებისადმი, რომლებმაც ჩვენ მოგ-  
ვიპოვეს თავისუფლება“<sup>1</sup>, — აღნიშნავდა დელეგაციის ხელმძღვანელი, პოლო-  
ნეთის სახალხო რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გენერალური მდივანი ევი  
პუტრამენი 1952 წლის 27 დეკემბერს.

„ვიწახსულეთ იატაკქვეშა სტამბა, სადაც მუშაობდნენ ქართველი მუშები,  
ჩვენ კარგად გავიგეთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ამ ხალხის ბრძოლა რევო-  
ლუციისათვის... გავიგეთ საქართველოს რევოლუციონერთა ბრძოლების შესა-  
ხებ, რომლებიც მოუწოდებდნენ მუშათა კლასს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძო-  
ლისაკენ, მუშათა კლასის ხელისუფლების დამყარებისაკენ“, — წერენ თავი-  
სუფლების კუნძულის, კუბის წარმომადგენლები.

ვიეტნამელი ხალხის შვილებმა კი თავისი შთაბეჭდილება ასე გამოხატეს:  
„დავათვალიერეთ საქართველოს კომუნისტების ისტორიული იატაკქვეშა სტამ-  
ბა. მის ისტორიაში ჩვენ ნათლად წარმოვიდგინეთ კომუნისტების გაღებული  
დიდი მსხვერპლი საქართველოსა და ვიეტნამისათვის“, ხოლო ბულგარეთის  
კომპარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივნებმა აღნიშნეს: „ვიყა-  
ვით რა ექსკურსიაზე ავლაბრის სტამბაში, აღტაცებულნი ვართ ამ ძეგლით. ვე-  
საყვანებით იმ დიდ გმირულ ბრძოლებს, რომლებსაც ეწეოდნენ იატაკქვეშე-  
ლები. მათი საქმეები უკვდავია“.

საბლ-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ნახავთ უამრავ ჩანაწერს მსოფ-  
ლიოს თითქმის ყველა ენაზე: ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ეს-  
პანურ, ჩინურ, ინდურ, არაბულ, თურქულ და სხვა. დამთვალიერებლები მად-  
ლიერების გრძნობით აღვსილნი ტოვებენ მუზეუმს.

დანის კომუნისტური პარტიის ცკ-ის წევრებმა კრისტენსენმა და პეტერ-  
სენმა შემდეგი ჩანაწერი დაგვიტოვეს: „დიდი ინტერესით დავათვალიერეთ  
სტამბა და აღტაცებული ვართ ქართველი ხალხის გმირული ბრძოლით ცარიზ-  
მის წინააღმდეგ ეროვნული თავისუფლებისათვის“.

ერაყელმა და იორდანელმა კომუნისტებმა კი აღნიშნეს: „ვნახეთ ავლაბ-

<sup>1</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი, ფონდი 80/76,  
აღწ. 1, საქ. 563, ფურც. 45.



რის სტამბა, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციური ბრძოლის კარგი მაგალითია, იგი არის იმ პრავლარიცხოვანი მსხვერპლთაგანი, რაც განიცადა ხალხმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის, რომელმაც მთელს კაცობრიობას გაუხსნა ახალი გზა“.

„ჩვენს გულსა და გრძნობებზე ძალზე იმოქმედა იმ ადგილის დათვალიერებამ, რომელმაც ასეთი დიდი როლი შეასრულა 1905 წლის რევოლუციისში, — ჩაწერეს შთაბეჭდილებათა წიგნში მალაგასის რესპუბლიკის დედაქალაქ ტანანარივეს მერმა რიშარ ანდრიანჯატომ და მისმა მეუღლემ, — ჩვენ გამოვთქვამთ აღფრთოვანებას მათ მიმართ, ვინც ხელი შეუწყო რევოლუციის განხორციელებას. რევოლუციის ნაყოფით ისარგებლეს არა მარტო საბჭოთა ხალხებმა, არამედ მისმა ექომ ჩვენს ქვეყანამდეც მოაღწია“.

ავლაბრის საიდუმლო სტამბა არა მარტო ამიერკავკასიის ბოლშევიკების გმირული ბრძოლის ბრწყინვალე ფურცელია, არამედ მაგალითის მიქცემია კაპიტალისტური სამყაროს მშრომელებისათვის, რომლებიც იბრძვიან როგორც თავიანთი ქვეყნის, ისე მსოფლიოს ჩაგრული ხალხების იმპერიალიზმის მონობისაგან განთავისუფლებისათვის.

„ამ სტამბამ კარგი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს რევოლუციურ ბრძოლაში თავისუფლებისათვის, — აღნიშნეს ლათინური ამერიკის კომუნისტთა ჯგუფის წევრებმა, — ამჟამად იგი ბრძოლისაკენ მოუწოდებს მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ როგორც თავიანთი ქვეყნის, ისე მსოფლიოს ყველა ხალხის განთავისუფლებას იმპერიალიზმის მონობისაგან, ჩვენც თავისუფლებისათვის შებრძოლები, პირობას ვდებთ მივბაძოთ იმ რევოლუციონერების მაგალითს, რომლებმაც დააარსეს იგი და მუშაობდნენ აქ“.

„ნორვეგიელთა დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს იატაკქვეშა სტამბა თბილისში. ეს იყო ძალიან საინტერესო და ჭკუის სასწავლი ექსკურსია. ჩვენ მივიღეთ ნათელი წარმოდგენა იმ მძიმე პირობების შესახებ, რომელშიც მოღვაწეობდნენ რევოლუციონერები“<sup>1</sup>.

მსოფლიოში სახელმძღვანელოა თურქმა კომუნისტმა პოეტმა ნაზიმ ჰიქმეთმა კი ასეთი სტრიქონები უძღვნა: „ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩვენ უდიდესი ოსტატების გამოცდილებიდან ვიღებდით მაგალითს და კვლავაც ავიღებთ“.

<sup>1</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი, ფონდი 8076, აღწ. 1, საქ. 561, ფურც. 26.



სტამბის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ ჩინებულად გადმოგვცემს თავის აზრს კანადის კომუნისტური პარტიის ცკ-ის მდივანი ორგანიზაციულ საკითხებში დონ კარი: „ავლაბრის მუზეუმის დათვალიერება კიდევ უფრო გვაკავშირებს რევოლუციურ წარსულთან. თქვენი მუზეუმი აღაფრთოვანებს ყველა კომუნისტს, მათ ვინც იბრძვის ჩაგვრის წინააღმდეგ, ახალი ცხოვრებისათვის. ეს აძლევს ყველა რევოლუციონერს პრაქტიკულ გაკვეთილს: იყოს თავის მუშაობაში გამჭრიახი, შრომისმოყვარე და მამაცი“.

„...ავლაბრის არალეგალური სტამბის გამოცდილება ამავე დროს წარმოადგენს შესანიშნავ გაკვეთილს ჩვენს დროში თავისუფლების ყველა მებრძოლისათვის და პირველ რიგში ლათინური ამერიკისათვის. ბოლივიელი მწერალი მიესალმება სტამბის გმირებს და გმირულ საბჭოთა კავშირს“<sup>1</sup>; აღნიშნავდა ხესს დე ლარა.

მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ნახავთ კარლ მარქსის შვილთა შვილის რობერ უან ლონგეს ჩანაწერი: „ამ არალეგალური სტამბის დათვალიერება ადამიანებს აღაფრთოვანებს, მას აკვირებს სტამბაში მომუშავეთა მამაცობა, ძლიერი ნებისყოფა და რევოლუციონერთა საზრიანობა — ჩვენ თავს ვბრით იმ ნიჭიერი რევოლუციონერების წინაშე, რომლებმაც ასე ღიღებულად მოფიქრებული არალეგალური შენობა ააგეს“.

„ვამაყობთ, რომ წილად გვხვდა ბედნიერება დაგვეთვალიერებინა ავლაბრის არალეგალური სტამბა, მუხლს ვიყრით სტამბის რევოლუციონერ მუშათა კვირული ბრძოლის წინაშე“, — წერდა ლაოსის პატრიოტული ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე სითხონ კომადამი.

შთაბეჭდილებათა წიგნში დაცულია კანადის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის ტიმ ბაქის ჩანაწერი: „ძალიან გვიინტერესებდა ამ არალეგალური სტამბის ნახვა და მისმა ნახვამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენში. სტამბის ორიგინალური კონსტრუქციული გეგმა და ის ღიღი შრომა, რასაც ეწეოდნენ მასში მომუშავენი, აღაფრთოვანებს ყველა კომუნისტს, და აღაყვებდა სიამაყის გრძნობით იმ ბოლშევიკებს, რომლებიც იბრძოდნენ რეაქციის ტერორის წინააღმდეგ, რათა აეშენებინათ ისტორიული პარტია, რომელიც მიიყვანდა ხალხს ღიღი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე, სოციალიზმის აშენებამდე, ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლამდე და კომუნისმის მშენებლობამდე. ჩვენ ღიღი სიამაყის გრძნობით გავუზიარებთ ამ უდიდეს შთა-

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1953 წლის 27 დეკემბერი.

ბეჭდილებას კანადელ მშრომლებს. დიდება ავლაზრის არალეგალურ სტამბას, ბეჭდვითი სიტყვის ფაბრიკას“.

ასეთი დიდი სიყვარულითა და ალტაცებით წერენ დამთვალეიერებლები იმ ღრმა შთაბეჭდილებებისა და ზემოქმედების შესახებ, რომელსაც მათზე ახდენს ავლაზრის არალეგალური სტამბის გმირული წარსული, ამიერკავკასიის რევოლუციონერთა უმაგალითო სიმამაცე, მათ მიერ აქ გაწეული გრანდიოზული მუშაობა და ბრწყინვალედ გააზრებული კონსპირაცია.

რედაქტორი მ. ქანთარია

მხატვარი ნ. ზალიშვილი

მხატვრული რედაქტორი კ. ფაჩულია

ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი

კორექტორი ქ. ქავთარაძე

გამომშვები მ. წიგწივაძე

გაღეცა წარმოებას 16/VI-77 ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/VIII-77  
საბეჭდი ქალაქი № , 70X84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 3,8+ ჩაკვრა 1,17

სააღრ.-საგამომც. თაბაზი 3.68. უე 07060

ტირაჟი 3 000. შეკვ. № 1301 ფასი 25 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და  
წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 17  
თბილისი, სურამის ქ. № 13

Типография № 17. Госкомитета Совета Министров ГССР  
по делам издательств, полиграфии и книжной торговли.  
г. Тбилиси, ул. Сурамская, 13.



125

384745

